დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **შორენა ხუბუნაია**

წევრები: **მარიამ აბელიანი**
ხათუნა მაიასაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)**

საიდენტიფიკაციო კოდი: **402022609**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

<u>მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო განათლება	150	31	43

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. საერთო მიმოხილვა

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 8 თებერვლის MES 9 23 0000139349 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე; მარიამ აბელიანი, ექსპერტთა ჯგუფის წევრი; ხათუნა მაისაია ექსპერტთა ჯგუფის წევრი - დარგის ექსპერტი (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის **15, 16 და 17 თებერვალს,** ავტორიზაციის დებულების 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა","გ","დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის დადგენის მიზნით, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებას.

2023 წლის 10 თებერვალს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2023 წლის 15, 16 და 17 თებერვალს კოლეჯში განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მიმდინარეობას, პროცედურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას/მტკიცებულებებს, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს (9 პირი), პროფესიულ სტუდენტებს (სხვადასხვა წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, სულ 11), პროფესიული განათლების მასწავლებლებს (4 პირი, მათ შორის 2 კლინიკური მოდულების განმახორციელებელი), პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (2 პირი), იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებთანაც კოლეჯი თანამშრომლობს მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე (კერძოდ - ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც თანამშრომლობდა კოლეჯთან სასწავლო პროცესისა და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის მიმართულებით, ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც თანამშრომლობდა კოლეჯთან ვებგვერდის ახალი ვერსიის შექმნაზე, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონიტორინგის ჯგუფს და სხვ.).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოლეჯის ძირითადი და დამხმარე პროცესების შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ უპირატესად მოთხოვნილი და შეფასებული იქნა კოლეჯის რეავტორიზაციის შემდგომ შექმნილი მტკიცებულებები, ყურადღება გამახვილდა კოლეჯის მიერ მოდიფიცირებულ შიდა მარეგულირებელ აქტებზე და წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფაქტებზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე დოკუმენტში ცალკეული საკითხების აღწერისას და პროცესის მიმდინარეობაზე მსჯელობისას გამოყენებული ფრაზა - „საანგარიშო პერიოდი“ გულისხმობს კოლეჯის რეავტორიზაციის შემდგომ პერიოდს.

მიმდინარე წლის 17 მარტს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 7 23 0000306404 წერილის საფუძველზე, წარმოდგენილი კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციისა და მასზე დართული მტკიცებულებების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ აღმოფხვრილია არსებული ხარვეზები შემდეგი გარემოების გამო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. ხარვეზი - ინდიკატორი 5.1.2.1 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები, დაწესებულებას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, არ არის დასრულებული სახანძრო უსაფრთხოების შეფასების ღონისძიებები.

კოლეჯის მიერ განხორციელებული ღონისძიება - შპს „მშენ-ექსპერტ +"-ის მიერ მომზადებულია ინსპექტირების ანგარიში შენობა-ნაგებობის, მდებარე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №121, III სართული - მდგრადობისა და რეკომენდაციების შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და გაცემულია რეკომენდაციები ავარიული ნიშნების აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული იქნა დასკვნა ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

2. ხარვეზი - ინდიკატორი 5.2.2.2 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში არ არის დანერგილი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.

კოლეჯის მიერ განხორციელებული ღონისძიება - კოლეჯსა და შპს „ჰოსტი.ჯი" შორის სამუშაოების დასრულების შესახებ 2023 წლის 16 თებერვალს გაფორმებული შეთანხმების მიხედვით აღებული ვალდებულება შესრულებულია. კოლეჯის მიერ გამოგზავნილია სისტემაში რეგისტრირებული კორესპოდენცია, ხოლო სისტემის ფუნქციებისა და პანელების მართვის პრინციპებს ექსპერტთა ჯგუფი კოლეჯში ვიზიტის დროს გაეცნო. ამასთან, კოლეჯის მიერ გამოგზავნილია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში დაშვების დროებითი იუზერი და პაროლი, რის საშუალებით ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სისტემის მუშაობა, რეგისტრირებული კორესპოდენცია, მართვის პანელი და დასტურდება, რომ სისტემა იძლევა შემოსული კორესპონდენციის დამუშავების, რეგისტრაციის, მოძრაობის, შესრულების კონტროლის, გასაგზავნი კორესპონდენციის შექმნის, დამუშავების ბრძანებების/ხელშეკრულებების/სხვ. აღრიცხვის შესაძლებლობას. აღნიშნულის დასტურად იხილეთ დასკვნის დანართი N3.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზად მიჩნევის გარემოებების აღმოფხვრის დადასტურება დამოკიდებული იყო სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტებზე (შენობა-ნადებობის მდგრადობა, სახანძრო უსაფრთხოება), ხოლო საქმისწარმოების სისტემის გაშვება დამოკიდებული იყო ტექნიკური სამუშაოების დასრულებაზე, პროცესები არ საჭიროებს დამატებით შესწავლას, ადგილზე გადამოწმებას და სხვა ღონისძიებების შესრულებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინამდებარე დასკვნის პროექტში მოცემული ხარვეზები ამოღებულია და შესაბამისი სტანდარტი შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია	----	სრული შესაბამისობა
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	----	სრული შესაბამისობა
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	----	სრული შესაბამისობა
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	----	სრული შესაბამისობა
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	----	სრული შესაბამისობა
4.2) პერსონალის განვითარება	----	სრული შესაბამისობა
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	----	სრული შესაბამისობა
5.2) საინფორმაციო რესურსები	----	სრული შესაბამისობა
5.3) ფინანსური რესურსები	----	სრული შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

<u>შესაბამისობის რეკომენდაციები:</u>

კოლეჯში 2022 წელს განხორციელდა რეავტორიზაციის ვიზიტი, რა დროსაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები, მათ შორის:

3.2.1 ქვესტანდარტი - დარღვეულია სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების ვადები სტატუსის მოპოვებასთან მიმართებაში და აცდენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ჩარიცხვის პერიოდს. შესწავლილი სასწავლო ხელშეკრულებები ნაცვლად მინისტრის მიერ განსაზღვრული ჩარიცხვის ვადებისა (01.10.2021-10.10.2021) დათარიღებულია 2021 წლის 8 ნოემბრით, ხოლო სარეგისტრაციო ჟურნალში დარეგისტრირებულია 2021 წლის 16 დეკემბრით.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ განხორციელებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოდიფიცირება და ნათლადაა გაწერილი პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმების მექანიზმები.

5.2.2 ქვესტანდარტი - დაწესებულების საქმისწარმოება არ შეესაბამება კანონმდებლობას (საქართველოს პრეზიდენტის N414 ბრძანებულება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესები", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი). დაწესებულება გონივრულ ვადებში არ ასახავს შიდა მარეგულირებელ აქტებში კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცვლილებებს და საჭიროების შემთხვევაში არ მოუხდენია საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებების ინფორმირება.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია განხორციელებულია, შიდა მარეგულირებელ აქტებში ძირითადი პროცედურები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები. რაც შეეხება საქმისწარმოების ელექტრონულ პლატფორმას, კოლეჯში აღნიშნული სისტემა დანერგვის პროცესშია.

1.1.1 ქვესტანდარტი - კოლეჯის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია კოლეჯის ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.2.2 ქვესტანდარტი - კოლეჯმა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები გაზიარებულია კოლეჯის ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

2.2.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ ნათლად განსაზღვროს და სხვადასხვა რეგულაციებში შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტის განთავსება.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ მოდიფიცირებულია შიდა მარეგულირებელი აქტები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტი განთავსებულია.

3.1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ჩარიცხვის პროცედურა ადაპტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით გაწერილ ვადებთან და მოთხოვნებთან. ამასთან, როგორც საჯარო დოკუმენტი ნათლად იძლეოდეს წარმოდგენას შერჩევის პროცედურების, შერჩევის ალტერნატიული მეთოდებისა და აპელაციის მექანიზმებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს. დაწესებულებამ უზრუნველყოს რეგულაციის შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

4.1.2 ქვესტანდარტი - 1.შინაგანაწესი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს შრომის კოდექსთან და მასში აისახოს დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები, დაწესებულებამ უზრუნველყოს ცვლილებების გაცნობა კოლეჯის პერსონალისთვის. რეგულაციები მოვიდეს შესაბამისობაში მთავრობის დადგენილებასთან „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. 2.პერსონალის მოზიდვა-შერჩევის პროცესი უნდა არეგულირებდეს სამუშაოზე აყვანის გამჭვირვალე და გაწერილ პროცედურას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს კვალიფიციური და შესატყვისი კადრების მოზიდვას და შერჩევას; პერსონალის შერჩევის პროცედურა უნდა იყოს მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე. 3. დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულებების განთავსება პერსონალის პირად საქმეში.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ სამივე რეკომენდაცია შესრულებულია. პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ნასამართლეობის არ ქონის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

4.2.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმი იყოს გამჭირვალე, მკაფიო და ნათელი. დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პერსონალისთვის. ზემოაღნიშნულ მექანიზმში განსაზღვრული უნდა იყოს: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი, შემფასებელი/შემფასებლები და სხვა. შემფასებელი/შემფასებლები განისაზღვრება პერსონალის ფუნქციებიდან გამომდინარე. ეს შესაძლოა იყოს: შესაბამისი სტრუქტურული პირი/პირები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვა.
პერსონალის საქმიანობის შეფასება უნდა ატარებდეს ფორმალურ და სისტემატურ ხასიათს. თანამშრომელთა საქმიანობის და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი უნდა მოხდეს დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. დაწესებულება უნდა ახდენდეს მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რის შედეგებსაც უნდა იყენებდეს პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის.
ასევე გაიწეროს მექანიზმი, თუ როგორ ახდენს დაწესებულება ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურად ჩართვას სამუშაო პროცესში. ზემოაღნიშნულ მექანიზმში ასახული უნდა იყოს პირი/პირები, რომლებიც ჩართულები იქნებიან ინტეგრაციის პროცესში.
დაწესებულების რეაგირება - დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული მექანიზმები შემუშავებულია, ხოლო მათი შესრულება დაგეგმილია მიმდინარე წლისათვის.

5.1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურება.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯი თანამშრომლობს შრომის უსაფრთხოების კომპანიასთან და კოლეჯში განხორციელებულია შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული პროცედურები. დაწესებულებაში მიმდინარეობს სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტაების დაკმაყოფილების შეფასებასთან დაკავშირებული მოქმედებები.

5.2.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ მოიპოვოს თანხმობა პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისგან პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე დაწესებულებამ შეიმუშავოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც შეაფასებს როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, ასევე პროცესების ეფექტიანობას.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებულია შეთანხმება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის შესახებ. კოლეჯის მიერ მოდიფიცირებულია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კითხვარები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას IT ტექნოლოგიების შეფასების თაობაზე, ასევე კოლეჯში დანერგილია IT აუდიტის პრაქტიკა და თვეში ერთხელ ხორციელდება IT ინფრასტრუქტურის მონისტორინგი.

5.2.2 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯს შესყიდული აქვს ელექტრონული საქმისწარმოების პლატფორმა და მიმდინარეობს დანერგვის პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

5.2.3 ქვესტანდარტი - პროგრამასა და რეგულაციებში ასახული ცვლილებები გონივრულ ვადაში განახლდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე. რეგულარულად (ყოველწლიურად ან განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად) განახლდეს და კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსდეს კატალოგი.
დაწესებულების რეაგირება - საანგარიშო პერიოდში განახლებულია კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

2.1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ უზრუნველყოს კოლეჯის მარეგულირებელი აქტების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.
დაწესებულებამ უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის დანართების (მოდულების) მოქმედ ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯმა განახორციელა შიდა მარეგულირებელი აქტების მოდიფიცირება, ცვლილებები განახორციელა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და მოიყვანა შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან.

2.2.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ ნათლად განსაზღვროს და სხვადასხვა რეგულაციებში შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უზრუნველყოს მოდულებში განსაზღვრული ყველა სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯმა განახორციელა შიდა მარეგულირებელი აქტების მოდიფიცირება, მოდულებში განსაზღვრული ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით.

2.4.2 ქვესტანდარტი - კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული ჩანაწერები მოვიდეს შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტის ჩანაწერებთან და განმსაზღვრელი შეფასებისას გამოყენებული იქნას მხოლოდ კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება. დაწესებულებამ განსაზღვროს მტკიცებულებების აღრიცხვის ფორმა და ვადები.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯმა განახორციელა შიდა მარეგულირებელი აქტების მოდიფიცირება, გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, კოლეჯმა განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

<u>განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

1.2.1 ქვესტანდარტი - სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნებისთვის რეკომენდებულია თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული იყოს კონკრეტული დროის პერიოდი, როცა იგეგმება შესაბამისი აქტივობა (მაგალითად შესრულების თვე/თვეები). ასევე დაკონკრეტდეს რომელი თვიდან რომელ თვემდე პერიოდს მოიცავს სასწავლო წელი.

დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ მოცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის, მიმდინარე ეტაპზეც გაცემულია იგივე რეკომენდაცია.

3.1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმსჯელოს ადმინისტრაციის საბჭოს კომპეტენციაზე და უზრუნველყოს უფლებების სწორი დელეგირება, რაც ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ასევე მობილობის წესში დაზუსტდეს მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების ყველა შესძლო უფლებამოსილება, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი, შესაბამისი დონისა და კვალიფიკაციის თავსებადობის გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესის“ შესაბამისად. რეკომენდირებულია, მიღებული განათლების აღირების წესი ადაპტირდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღირების წესთან“ და გაიწეროს ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი, ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები, განცხადების წარდგენისა და წარმოების ვადები, კომისიის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმსჯელოს განმეორებითი შეფასებისათვის დადგენილ ვადებთან დაკავშირებით, ვინაიდან 1 კვირის ვადაში 3-ჯერადი გადაბარება ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგის ადეკვატურ მიღწევას. ამასთან განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის ვადები ერთმანეთთან უზუსტობაშია და -სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მექანიზმების ვადების შესაბამისობა, რათა პროფესიულ სტუდენტს არ შეეზღუდოს იმ მოდულზე დაშვების უფლება, რომელიც ე.წ. წინაპირობიანი მოდულის შემდეგ ხორციელდება. პროფესიულ სტუდენტთა გასაჩივრების წესში ასევე გაიწეროს საჩივრის განხილვისა და მასზე რეაგირების ვადები და პროცედურები, კომისიის უფლებამოსილების, ფორმირებისა და საქმიანობის მექანიზმები. ექსპერტთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა პროფესიულ განათლებაში სემესტრისა და კურსის ცნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ყურადღება გაამახვილოს პროფესიული განათლების კანონით გაწერილ ტერმინთა განმარტებაზე და შესაბამისობაში მოიყვანოს შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები. სასწავლო ხელშეკრულებით სწავლის საფასური მოიცავს დაფინანსების ორივე გარემოებას (საბიუჯეტო/არასაბიუჯეტო) და სასურველია გაიმიჯნოს კონკრეტული მიღების პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსების შესაძლო ალტერნატიული მიდგომები. აწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ისგ შემუშავების მექანიზმი შესაბამისობაში მოიყვანოს არსებულ მოცემულობასთან მიმართებაში და დაზუსტდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ალტერნატიული შემთხვევებიც, მათ შორის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მობილობის შესაძლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გარემოებები და გაიწეროს არასრულწლოვანის პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის ადმინისტრაციის საბჭოს უფლებამოსილება მოდიფიცირებულია და სტუდენტის სტატუსის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი. პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასების ვადები შეცვლილია და წინაპირობის მქონე მოდულებისათვის განსაზღვრულია 2 კვირა. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების შემთხვევები კოლეჯის მიერ დაზუსტებულია და მოიცავს ყველა შესაძლო შემთხვევას, ასევე გაწერილია ინდივიდუალური გეგმაში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის საკითხები. შიდა მარეგულირებელ აქტებში პროცედურების გაწერისა და ჩართული პირების პასუხისმგებლობების გამიჯვნის საკითხებზე მიმდინარე წარმოების ფარგლებში ასევე გაცემულია რეკომენდაციები.

3.2.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია შეიმუშაოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, რესურსებსა და ინფორმირების საშუალებებს. რეკომენდირებულია, კითხვარები იყოს კვლევის მიზნის რელევანტური, გაიწეროს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, კვლევის ჩატარების პერიოდები, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკვლეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად და მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ შემუშავებულია სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ექსტრაკურიკულური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, რესურსებსა და ინფორმირების საშუალებებს. კოლეჯის მიერ მოდიფიცირებული პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარები.

4.1.2 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულების ჩანაწერები სამუშაო საათების შესახებ მოვიდეს შესაბამისობაში.

დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ განხორციელებულია ცვლილებები შინაგანაწესში და პერსონალის სამუშაო დროები შესაბამისობაშია პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ დროებთან.

5.1.1 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, დაწესებულებამ იჯარის ხელშეკრულების შეთანხმება და ქვეიჯარის ხელშეკრულება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში. რეკომენდირებულია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოეკრას თვალსაჩინო ადგილზე.

დაწესებულების რეაგირება - დაწესებულებამ იჯარის ხელშეკრულება დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2.2.1 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, შემუშავდეს რეგულაცია, სადაც განისაზღვრება საჭიროების შემთხვევაში თუ ვის მიერ და როგორ მოხდება რესურსების ცვლილება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გამიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. რეგულაციაში ან/და ხელშეკრულებით განსაზღვროს ვინ ითავსებს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს.

დაწესებულების რეაგირება - დაწესებულებამ გამიჯნა პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებასა და რესურსების ცვლილებას ახორციელებს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2.3.1 ქვესტანდარტი - მოხდეს დამსაქმებლის და კურსდამთავრებულთა კითხვარების სრულყოფა, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით მომზადდეს ანგარიშები/რეკომენდაციები. ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში მოხდეს აღნიშნულის დოკუმენტირება.

დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ მოდიფიცირებული პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის კითხვარები.

2.4.1 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, დაწესებულებამ სრულყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია, გაითვალისწინოს სტატუსის აღდგენის და მობილობის შემთხვევები, განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული პირები,დამტკიცების ვადები, ასევე უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას. დაწესებულებამ უზრუნველყოს სახარჯი მასალების დროული და სრულყოფილი აღრიცხვა;
პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაერთოს დანართები,სადაც აღნიშნული იქნება ინფორმაცია კლინიკური მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ; განისაზღვროს რომელ ჰოსპიტალში რომელი კლინიკური მოდულის სწავლება განხორციელდება.

დაწესებულების რეაგირება - პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მარეგულირებელი წესი მოდიფიცირებულია და გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა შესაძლო შემთხვევა. შიდა მარეგულირებელ აქტებში პროცედურების გაწერისა და ჩართული პირების პასუხისმგებლობების გამიჯვნის საკითხებზე მიმდინარე წარმოების ფარგლებში ასევე გაცემულია რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

<u>ზოგადი რეკომენდაციები</u>

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს დოკუმენტების მართვის პროცედურული დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების ინიცირების, შემუშავების, განხილვის, შეთანხმების/ვიზირების, დამტკიცების, განახლების/გაუქმებისა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირების/გაცნობის პროცედურები, დოკუმენტების რევიზიის პერიოდები და თითოეულ პროცედურაზე პასუხისმგებელი პირები;
2. რეკომენდებულია დაწესებულებამ დანერგოს შიდა მარეგულირებელი აქტების სავალდებულო რეკვიზიტებისა და გაფორმების შიდა სტანდარტი, მათ შორის ყველა დოკუმენტს მიეთითოს ამ დოკუმენტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირის/ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი აქტის (ბრძანება/ოქმი) რეკვიზიტები (აქტის ნომერი და თარიღი), დოკუმენტის პირველ გვერდზე მიეთითოს დოკუმენტის დასახელება, დოკუმენტში აღირიცხოს ცვლილებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მიეთითოს ცვლილებების შინაარსი;
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისი საკითხის მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწეროს ამ საკითხის მართვის პროცედურები, ვადები, პროცედურაზე პასუხისმგებელი და მონაწილე პირები, შიდა მარეგულირებელი აქტების/ბრძანებების/საოქმო გადაწყვეტილებების პერსონალისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობის პროცედურები, ვადები და შესაბამისი მტკიცებულებების უზრუნველყოფის მექანიზმები;
4. რეკომენდებულია დაწესებულებამ აამოქმედოს ხარისხზე ორიენტირებული მართვის მოდელი, რისთვისაც გამოიყენოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მეთოდები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გაავრცელოს დაწესებულების ყველა ძირითად და დამხმარე პროცესზე, მათ შორის ყველა პროცესისათვის დაინერგოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე);
5. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააქტიუროს მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოების მიმართულებით, მაგალითად პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ან/და სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება და სხვ. დაწესებულებამ სრულად გამოიყენოს პარტნიორული თანამშრომლობები და აქტიურად ჩაერთოს სხვადასხვა პროექტებში, რაც კოლეჯს დაეხმარება დაფინანსების დივერსიფიცირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წყაროების მოზიდვისა და ინსტიტუციური თვითმყოფადობის გაძლიერებაში, ხელს შეუწყობს დაწესებულებას განვითარებაში და ნაკლებად იქნება დამოკიდებული დამფუძნებელთა შემოწირულობებზე.

სტანდარტი N1; N4

ინდიკატორი 1.2.1.1; 1.2.2.1 რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს სტრატეგიული დაგეგმვის, სამოქმედო გეგმის შედგენის, ანგარიშგების, მონიტორინგის, შეფასებისა და პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავების პროცედურები. მიზანშეწონლია, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პერიოდული შეფასება, მაგალითად კვარტალური ან წელიწადში ორჯერ ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა, რისთვისაც წინასწარ შემუშავდეს ანგარიშგების ფორმები, განისაზღვროს ანგარიშების შეგროვებაზე, ერთიანი ანგარიშის განხილვაზე, შეფასებასა და განმავითარებელი რეკომენდაციების შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირი ან სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა დამტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

ინდიკატორი 1.2.1.3; 4.1.1.3

1) რეკომენდებულია კოლეჯის სტრატეგიული ამოცანა კომპლექსურად მოიცავდეს ინფორმაციას დაწესებულების განვითარების მიმართულებების თაობაზე, ხოლო ცალკეული აქტივობები ფორმულირდეს წლიურ გეგმაში;

2) რეკომენდებულია წლიური გეგმის თითოეული აქტივობა გაწერილი იქნას თვეების მიხედვით და კონკრეტული აქტივობის შესრულებისთვის ამავე დოკუმენტში განისაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსი;

3) რეკომედებულია წლის განმავლობაში შესასრულებელი აქტივობები რუტინული სამუშაოების გარდა, მოიცავდეს დაწესებულების განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს.

4) რეკომენდებულია კოლეჯმა გადახედოს თითოეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა შემადგენლობას და უზრუნველყოს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისობა.

სტანდარტი N2

ინდიკატორი 2.2.1.2 რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.3.1.2 რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმების დაგეგმვა, ადმინისტრირება განხორციელდეს პერიოდულად, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მიხედვით.

ინდიკატორი 2.4.2.2 რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სამივე კომპონენტის (შეფასების პროცესი, შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების) შეფასების პროცედურები, შეიმუშაოს სამუშაო ფორმები, რისკების მართვის სქემა და სხვ. და ამ პროცედურების დაცვით განახორციელოს შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

სტანდარტი N3

ინდიკატორი 3.1.1.3 რეკომენდებულია კოლეჯმა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენთა მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცესის დოკუმენტური მართვა, მათ შორის განსაზღვროს შეფასების შედეგების აპელაციის საქმისწარმოების ვადები, კომისიის შექმნის, გადაწყვეტილების მიღებისა და პროფესიულ სტუდენტთა/პროცესში ჩართულ მხარეთა ინფორმირების მკაფიო მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.5; 3.2.2.4 რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმების დაგეგმვა, ადმინისტრირება განხორციელდეს პერიოდულად, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მიხედვით.

სტანდარტი N4

ინდიკატორი 4.1.1.2 რეკომენდებულია კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი დასაქმებული იყოს სრულ საშტატო განაკვეთზე, რაც გამომდინარეობს დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვნებიდან და ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესასრულებელი მოვალეობების მოცულობიდან.

ინდიკატორი 4.1.2.2 რეკომენდებულია კოლეჯმა გამოყოს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი და უზრუნველყოს პერსონალის მართვის ადმინისტრირება შესაბამისი მტკიცებულების გზით.

ინდიკატორი 4.2.1.3 რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 4.2.1.5 რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, და კმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.

სტანდარტი N5

ინდიკატორი 5.1.1.7 რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის წესი, შესაბამისი ფორმები, კომისიის მუშაობისა და შედეგების ანალიზის პროცედურები და გაუმოიყენოს პრაქტიკაში.

ინდიკატორი 5.1.1.11 რეკომენდებულია კოლეჯმა იმუშავოს საბიბლიოთეკო სერვისების განვითარების მიმართულებით და მკითხველებს შესთავაზოს კურიკულუმს გარეშე ლიტერატურა, ასევე მიზანშეწონილია კოლეჯმა დაადგინოს მინიმალური მოთხოვნები და შეიმუშაოს სასწავლო მასალის ე.წ. „რიდერის“ შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განისაზღვრება მაგალითად სასწავლო მასალების გაფორმების, გამოყენებული ლიტერატურის სავალდებულოდ მითითების და სხვ. საკითხები, ამასთან მნიშვნელოვანია სასწავლო სახელმძღვანელო განიხილოს დარგის სპეციალისტებმა და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება მოცემული მასალით შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

ინდიკატორი 5.2.2.1

1) რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშაოს ელექტრონული საქმისწარმოების მართვასთან დაკავშირებული მექანიზმები;

2) რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშაოს საარქივე საქმისწარმოების მექანიზმები, კანონმდებლობით მოთხოვნათა შესაბამისად და უზრუნველყოს დოკუმენტების დამუშავება, დაარქივება და შენახვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

XI. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი საკუთარი მისიით ეხმიანება პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ისეთ მიზნებს, როგორიცაა „სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“. კოლეჯის მისიიდან ჩანს დაწესებულების როლი, რომ ის ორიენტირებულია კვალიფიციური ექთნების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ გააუმჯობესონ ადამიანების სიცოცხლის ხარისხი, მიუხედავად მათი სქესისა, ეთნიკური კუთვნილებისა და რელიგიური მრწამსისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, ვინაიდან დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. დაწესებულების მისიის მიხედვით, ირკვევა, რომ ის არ არის მრავალპროფილური და კონცენტრირებულია ექთნების მომზადებაზე. მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ამასთან ხაზს უსვამს კვალიფიციური ექთნების მომზადების მნიშვნელობას, რომლებიც შეძლებენ გააუმჯობესონ ადამიანების სიცოცხლის ხარისხი, მიუხედავად მათი სქესისა, ეთნიკური კუთვნილებისა და რელიგიური მრწამსისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

3. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები თავსებადია კოლეჯის მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს.

დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებული ორიენტირის პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, კოლეჯი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ზრუნავს სწავლების მაღალ ხარისხზე და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, რის შედეგადაც, კოლეჯის კურსდამთავრებულთა 85% დასაქმებულია, მათ შორის 84% დასაქმებულია პროფესიით;
- კოლეჯის კურსდამთავრებულთა ნაწილი, როგორც კოლეჯის პარტნიორი დაწესებულების თანამშრომლები, ჩართულნი არიან კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის პრაქტიკის ობიექტზე კლინიკური მოდულების სწავლების ნაწილში;
- კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ქვეყანაში წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან, მათ შორის სამედიცინო კორპორაციასთან „ევექსი“, 17 რეფერალურ ჰოსპიტალთან, 17 რაიონულ ჰოსპიტალთან, 13 პოლიკლინიკასთან საქართველოს რეგიონული მასშტაბით. კოლეჯის პარტნიორია გერმანიის ქ. პირმასენსის მუნიციპალური კლინიკა - MUNICIPAL CLINIC OF PIRMASENS, GERMANY.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რისთვისაც ის განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე - http://college.dtmun.ge/, ერთვის კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგს. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნა კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასთან ერთად 2018 წელს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი. კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების თანამონაწილეობით პროცესს, რის მიხედვითაც განსაზღვრულია მის შემუშავებაში/ცვლილებების განხორციელებაში ჩართული მხარეები, მათ შორის დაწესებულების სამსახურები, ხელმძღვანელები/წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები ან სხვა დაინტერესებული პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის საზოგადოების მიერ დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების გზით. საანგარიშო პერიოდში კოლეჯს მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში ცვლილებები არ განუხორციელებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის 2018-2025 წწ სტრატეგიული გეგმა;
4. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი;
5. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭოს სხდომის ოქმი, 2018 წელი;
6. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
7. ვებგვერდი - http://college.dtmun.ge/.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია 2018 წელს. სტრატეგიული გეგმის პროექტი განხილულია დაწესებულების ადმინისტრაციული საბჭოს სხდომაზე. კოლეჯის პერსონალმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ამოქმედებისას გადაიხედა სტრატეგიული გეგმა და მცირედით მოდიფიცირდა, თუმცა აღნიშნულის მტკიცებულება არ წარმოდგენილა.

წლიური გეგმის შემუშავების პრაქტიკის შესწავლისას, კოლეჯის პერსონალმა ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, მათ შორის წინა წლის შეუსრულებელ აქტივობებს, რომელთა შესრულება ისევ მნიშვნელოვანია კოლეჯისთვის, განიხილება ადმინისტრაციული საბჭოს სხდომაზე და აისახება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მიდგომებს, რის მიხედვითაც, მონიტორინგი არის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების თვალყურის დევნება დასახული მიზნების მიღწევაზე მათი გავლენის კუთხით, დაკვირვების შედეგების გაანალიზება/შეფასება. მონიტორინგის საშუალებით შესაძლებელია გეგმიდან ,,გადახვევების“ აღმოჩენა და მათზე რეაგირება არსებითი ზიანის დადგომამდე. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი დაგეგმილია წელიწადში ერთხელ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეშვეობით. განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში დაშვებულია რიგგარეშე მონიტორინგის ჩატარება. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ევალება დირექტორს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შედეგები განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

დაწესებულების სტრატეგიული გეგმის აქტივობები გაწერილია წლების მიხედვით და შესაბამისად წარმოდგენილია ერთწლიანი ანგარიშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯის პერსონალმა ინტერვიურებისას ისაუბრა კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის, ანგარიშების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებებზე, ამ აქტივობათა პროცედურების შესრულების მტკიცებულებები წარმოდგენილი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს სტრატეგიული დაგეგმვის, სამოქმედო გეგმის შედგენის, ანგარიშგების, მონიტორინგის, შეფასებისა და პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავების პროცედურები და საქმიანობა წარმართოს ამ ეტაპების შესაბამისად, ასევე მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პერიოდული შეფასება, მაგალითად კვარტალური ან წელიწადში ორჯერ ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა, რისთვისაც წინასწარ შემუშავდეს ანგარიშგების ფორმები, განისაზღვროს ანგარიშების შეგროვებაზე, ერთიანი ანგარიშის განხილვაზე, შეფასებასა და განმავითარებელი რეკომენდაციების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ან სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა დამტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

2. ვინაიდან კოლეჯის სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია 2018 წელს, მის შედგენაში მხოლოდ მონაწილეობდა კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი, რასაც მოწმობს კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი. თუმცა, კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართული არიან დაწესებულების სამსახურები, ხელმძღვანელები/წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები ან სხვა დაინტერესებული პირები, დაინტერესებულ მხარეები არიან: პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის ადმინისტრაციის წევრები, კურსდამთავრებულები, დაწესებულების პარტნიორები, დამსაქმებლები. ამავე მეთოდოლოგიის მიხედვით, დაწესებულება აღნიშნავს, რომ სტრატეგიული გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნა ქვეყნის/რეგიონის/პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინი. აღნიშნულის დასტურად, კოლეჯის პერსონალმა განმარტა, რომ კოლეჯის მიერ ქვეყნის/რეგიონის/პრიორიტეტებისა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინის გაზიარება გულისხმობს კვალიფიციური ექთნების მომზადებას, რომელთა ცოდნა-უნარები და კომპეტენცია, დასაქმების მაღალი მაჩვენებლები კოლეჯის ძლიერი მხარე და მაღალი რეპუტაციული ნიშაა. ამასთან, კოლეჯის ხელმძღვანელმა საუბრისას აღნიშნა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

აცნობიერებენ სტრატეგიულ დაგეგმვაში პარტნიორების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რასაც უზრუნველყოფენ ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას ან არსებული მოდიფიცირებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. კოლეჯის 2018-2025 წწ სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, შესრულების ინდიკატორები და ვადები. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზებისა და ამოცანების შესრულება გაწერილია წლების მიხედვით (2018-2019წწ.; 2019-2020წწ.; 2020-2021წწ.; 2021-2022წწ.; 2022-2023წწ.; 2023-2024წწ.; 2024-2025წწ.) სტრატეგიული გეგმა ეფუძნება SWOT ანალიზს. კოლეჯს განსაზღვრული აქვს 5 სტრატეგიული მიმართულება, მათ შორის: სწავლების, სწავლის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება; პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობაში; ადამიანური რესურსის ხარისხის განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა; კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო რესურსის განვითარება.

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი ამოცანები, რომელთა შესრულება განსაზღვრულია აკადემიური წლების მიხედვით, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა გამიჯნოს სტრატეგიული ამოცანა აქტივობისგან, მაგალითად - სტრატეგიული ამოცანა ვერ იქნება ღია კარის დღეების ორგანიზება, ეს უფროს წლიური სამოქმედო გეგმის აქტივობაა. იგივე შეიძლება ითქვას სტრატეგიულ ამოცანად განსაზღვრულ ჩანაწერზე - საინფორმაციო შეხვედრების გამართვა პოტენციური დაინტერესებული მხარეებისთვის: სკოლებისთვის, დამსაქმებლებისთვის; პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა და სხვ.

კოლეჯის სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი ამოცანები, რომლებიც გაწერილია აკადემიურ წლებზე, წარმოადგენს კოლეჯის წლიურ გეგმას და მოიცავს აკადემიურ წელს, მაგალითად 2021-2022წწ.; 2022-2023წწ და სხვ. თუმცა, რეკომენდებულია წლიური გეგმის თითოეული აქტივობა გაწერილი იქნას თვეების მიხედვით და კონკრეტული აქტივობის შესრულებისთვის ამავე დოკუმენტიში მიეთითოს კონკრეტული აქტივობისთვის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებული იყო წლიური გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების რესურსი ჯამური სახით. ამასთან, რეკომენდებულია წლის განმავლობაში შესასრულებელი აქტივობები რუტინული სამუშაოების გარდა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

მოიცავდეს დაწესებულების განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, მაგალითად სხვადასხვა პროექტებს, ისეთ აქტივობებს, რომელთა კომერციალიზაცია გაზრდის კოლეჯის დივერსიფიცირებული შემოსავლების ნაწილს, მოკლევადიანი/გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების ჩართულობით ერთობლივი აქტივობების განხორციელებას და სხვ., რაც დაეხმარება კოლეჯს მდგრად განვითარებაში.

აღნიშნულის თაობაზე ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა კოლეჯის დირექტორს, რომელმაც აღნიშნა კოლეჯში მიმდინარე აქტივობაზე, მაგალითად სკოლის მოსწავლეებისათვის განხორციელებულ პროექტზე, უკვე წარმატებით განხორციელებულ ღონისძიებებზე, რომელთა ამსახველი ფოტომასალა კოლეჯში არსებობს, აღნიშნა კოლეჯის ხედვაზე სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული არ არის ფორმალიზებული კოლეჯში და საჭიროებს პროცედურულ დოკუმენტირებას, მათ შორის: დაგეგმვას-ადმინისტრირებას-შეფასებასა და განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა: 1) რეკომენდებულია კოლეჯმა გამიჯნოს სტრატეგიული ამოცანა აქტივობისგან, მაგალითად - სტრატეგიული ამოცანა ვერ იქნება ღია კარის დღეების ორგანიზება, ეს უფროს წლიური სამოქმედო გეგმის აქტივობაა. იგივე შეიძლება ითქვას სტრატეგიულ ამოცანად განსაზღვრულ ჩანაწერზე - საინფორმაციო შეხვედრების გამართვა პოტენციური დაინტერესებული მხარეებისთვის: სკოლებისთვის, დამსაქმებლებისთვის; პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა და სხვ. 2) რეკომენდებულია წლიური გეგმის თითოეული აქტივობა გაწერილი იქნეს თვეების მიხედვით და კონკრეტული აქტივობის შესრულებისთვის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსი ამავე დოკუმენტში განისაზღვროს; 3) რეკომენდებულია წლის განმავლობაში შესასრულებელი აქტივობები რუტინული სამუშაოების გარდა, მოიცავდეს დაწესებულების განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, მაგალითად სხვადასხვა პროექტებს, ისეთ აქტივობებს, რომელთა კომერციალიზაცია გაზრდის კოლეჯის დივერსიფიცირებული შემოსავლების ნაწილს, მოკლევადიანი/გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების ჩართულობით ერთობლივი აქტივობების განხორციელებას და სხვ., რაც დაეხმარება კოლეჯს მდგრად განვითარებაში. 4) რეკომენდებულია კოლეჯმა გადახედოს თითოეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა შემადგენლობას და უზრუნველყოს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისობა, კერძოდ კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი დოკუმენტების კრებულითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და მოიცავს ამ პოზიციისათვის დელეგირებული მოვალეობების შესრულებას, თუმცა სტრატეგიული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა გრაფაში მითითებულია, რომ მაგალითად ამოცანა - პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ღონისძიებების გატარება (კონფერენციები, სპორტული, კულტურული ღონისძიებები), პასუხისმგებელი პირი - "ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური"; ამოცანა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, პასუხისმგებელი პირი - "ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური" და სხვ. ეს კოლეჯის მიერ აიხსნა იმით, რომ ვინაიდან პროცესი შედგება ორი კომპონენტისგან: შესრულება და შეფასება, ხოლო ხარისხის სამსახური აფასებს ყველა პროცესს, ამ შემთხვევაშიც ხარისხის სამსახური მითითებულია შეფასების კონტექსტში, ხოლო სხვა სამსახურები შემსრულებლის როლში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის აზრით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში უმჯობესია განისაზღვროს აქტივობის უშუალოდ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის შეფასებისას, დაწესებულების არც ერთ პროცესთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის მიერ შესრულებელი სამუშაო არ შეიცავდა ინტერესთა კონფლიქტის ნიშნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის 2018-2025 წწ სტრატეგიული გეგმა;
4. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭოს სხდომის ოქმი, 2018;
5. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი დოკუმენტების კრებული;
6. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
7. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
8. ვებგვერდი - http://college.dtmun.ge/.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კოლეჯი ახორციელებს წელიწადში ერთხელ, აკადემიური წლის ბოლოს, რა დროსაც ფასდება წლის განმავლობაში შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობები, რის დასტურადაც წარმოდგენილია ექსელის ფაილში მოცემული ინფორმაცია აქტივობათა შესრულების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას კოლეჯის პერსონალმა განაცხადა, რომ ძირითადად თვალს ადევნებენ წლის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობათა შესრულებას, თუმცა შუალედური ანგარიშგების სისტემა არ აქვთ. თუ რომელიმე აქტივობა ვერ შესრულდა, ის გადადის მომდევნო წლის გეგმაში. აკადემიური წლის ბოლოს ხდება წლიური გეგმის შესრულების შეჯამება და შედეგები განიხილება კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭოს სხდომაზე, ამავე სხდომაზე განიხილება მომდევნო წლის აქტივობები. თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს სტრატეგიული დაგეგმვის და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ანგარიშგების, მონიტორინგის, შეფასებისა და პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელების პროცედურები და საქმიანობა წარმართოს ამ ეტაპების შესაბამისად, ასევე მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პერიოდული შეფასება, მაგალითად კვარტალური ან წელიწადში ორჯერ ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა, რისთვისაც წინასწარ შემუშავდება ანგარიშგების ფორმები, განისაზღვროს ანგარიშების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი, ერთიანი ანგარიშის განხილვაზე, შეფასებასა და განმავითარებელი რეკომენდაციების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ან სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა დამტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ. ანალოგიური მიდგომებით განხორციელდეს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიმართულებებისა და ამოცანების აქტუალობის შეფასება, ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული აქტივობების შესრულების მაჩვენებლების შესწავლა და სხვ.

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი არის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების თვალყურის დევნება დასახული მიზნების მიღწევაზე მათი გავლენის კუთხით, დაკვირვების შედეგების გაანალიზება/შეფასება. მონიტორინგის საშუალებით შესაძლებელია გეგმიდან ,,გადახვევების“ აღმოჩენა და მათზე რეაგირება არსებითი ზიანის დადგომამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი დაგეგმილია წელიწადში ერთხელ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეშვეობით. განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში დაშვებულია რიგგარეშე მონიტორინგის ჩატარება. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ევალება დირექტორს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შედეგები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს სტრატეგიული დაგეგმვის, სამოქმედო გეგმის შედგენის, ანგარიშგების, მონიტორინგის, შეფასებისა და პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავების პროცედურები და საქმიანობა წარმართოს ამ ეტაპების შესაბამისად, ასევე მიზანშეწონლია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პერიოდული შეფასება, მაგალითად კვარტალური ან წელიწადში ორჯერ ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა, რისთვისაც წინასწარ შემუშავდეს ანგარიშგების ფორმები, განისაზღვროს ანგარიშების შეგროვებაზე, ერთიანი ანგარიშის განხილვაზე, შეფასებასა და განმავითარებელი რეკომენდაციების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ან სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა დამტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კოლეჯი ახორციელებს წელიწადში ერთხელ, აკადემიური წლის ბოლოს, რა დროსაც ფასდება წლის განმავლობაში შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობები, რის დასტურადაც წარმოდგენილია ექსელის ფაილში მოცემული ინფორმაცია აქტივობათა შესრულების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას კოლეჯის პერსონალმა განაცხადა, რომ ძირითადად თვალს ადევნებენ წლის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობათა შესრულებას, თუმცა შუალედური ანგარიშგების სისტემა არ აქვთ. თუ რომელიმე აქტივობა ვერ შესრულდა, ის გადადის მომდევნო წლის გეგმაში. აკადემიური წლის ბოლოს ხდება წლიური გეგმის შესრულების შეჯამება და შედეგები განიხილება კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭოს სხდომაზე, ამავე სხდომაზე განიხილება მომდევნო წლის აქტივობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. კოლეჯის სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს წლების მიხედვით გაწერილ აქტივობებს და ღონისძიებათა შესრულების წლიური ანგარიშები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე - http://college.dtmun.ge/ka/chven-shesakheb/strategiuli-gegma.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის 2018-2025 წწ სტრატეგიული გეგმა;
3. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სამოქმედო გეგმების - 2018-2022წწ. შესრულების ანგარიშები;
4. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
5. ვებგვერდი - http://college.dtmun.ge/.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. კოლეჯში დაცულია პროფესიული სტუდენტების ინტერესები. პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, მოვალეობები და გარანტიები ფორმალიზებულია კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, რისთვისაც დოკუმენტები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე, გამოკრულია კოლეჯის საინფორმაციო დაფაზე და პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ნებისმიერი განმარტება მიიღონ ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან კომუნიკაციის ნებისმიერი წყაროს გამოყენებით. აღნიშნულის დასტურად ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტები, შერჩევითი წესით შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები (მათ შორის აქტიური, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, მობილობით გადმოსული და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში), საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმები, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გემები, მეცადინეობის განრიგები, შეფასების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები და კოლეჯის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტები, კოლეჯის მიერ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების - დიპლომების გაცემის ჟურნალები და სხვ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ორი ჯგუფის პროფესიულ სტუდენტებს ლექციის პროცესში, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიურება კოლეჯის კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კლინიკური მოდულების განხორციელებაში ჩართულ პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან და სხვ.

კოლეჯის შინაგანაწესის 22-ე მუხლი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს, რომელიც თავსებადია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დებულებებთან. ამავე შინაგანაწესის 23-ე მუხლი განსაზღვრავს პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტთა ვალდებულებებს, რომელიც არ არის წინააღმდეგობაში საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან. კოლეჯის შინაგანაწესის 24-ე მუხლი არეგულირებს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) თანამშრომლობის საკითხებს, რას შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების მოდიფიცირება და ცვლილებები შესულია კანონმდებლობით მოთხოვნათა შესაბამისად. შესაბამისად, კოლეჯის **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით** განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესები შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა, მათი მოთხოვნის მიხედვით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა და კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

კოლეჯში შეიცვალა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვასთან დაკავშირებული პროცედურები, კერძოდ პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის საკითხებს იხილავდა კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭო, რაც პროფესიული სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების ვადებს ახანგრძლივებდა. საანგარიშო პერიოდში კოლეჯში დაზუსტდა დირექტორისა და ადმინისტრაციული საბჭოს მოვალეობები, რის შედეგადაც პროფესიულ სტუდენტთა განცხადებების დაკმაყოფილების ვადები არ ცდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

2. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი აწყობს საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც განიხილავს სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთათვის მიწოდებული სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისა და სხვა თემებთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

მტკიცებულებები, მათ შორის შეხვედრის ამსახველი ფოტო მასალა. ექსპერტთა ჯგუფმა ეს ინფორმაცია გადაამოწმა 2020, 2021 და 2022 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, მათ დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ასევე აღნიშნეს, რომ გარდა საორიენტაციო შეხვედრისა, კოლეჯი სასწავლო პროცესის განმავლობაში ნებისმიერ დროს ახორციელებს მათ მხარდაჭერას, ისინი სწავლობენ თბილ და ჰუმანურ გარემოში, სადაც დაცულია მათი უფლებები და ინტერესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. პროფესიულ სტუდენტებს შეფასების სისტემის, მათ შორის აპელაციის პროცედურების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ საორიენტაციო შეხვედრისას სასწავლო დეპარტამენტის პერსონალის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კონკრეტული მოდულის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სპეციფიკის, ვადებისა და პირობების შესახებ ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ უშუალოდ მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ. ექსპერტებმა სთხოვეს პროცესის აღწერა თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ იგებდნენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდებოდა განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში. პროფესიულმა სტუდენტებმა დეტალურად აღწერეს შეფასების პროცესი, შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომე ეცნობიან თავიანთ ნაშრომებს, აღწერეს შეფასების შედეგების განხილვისა და უკუკავშირის პროცესი და მისი მნიშვნელობა მათი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სტუდენტებმა აღწერეს განმეორებითი შეფასების პროცესი. ერთ-ერთმა პროფესიულმა სტუდენტმა აღნიშნა შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ და განაცხადა, რომ კოლეჯმა განიხილა მისი სურვილი შეფასების შედეგების განხილვისა და ცვლილების შესახებ, რაც კოლეჯის მიერ სამართლიანად იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულ იქნა კოლეჯის მიერ, თუმცა ამ პროცედურის მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი, რადგან პროფესიულ სტუდენტს წერილობით არ მოუმართავს და ზეპირი კომუნიკაციით განხორციელდა შედეგების განხილვა. სხვა პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თქმით შეფასების შედეგების აპელაციის საჭიროება არ ჰქონიათ, თუმცა იცნობენ პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, კოლეჯმა სასწავლო გეგმის მიხედვით გაზარდა იმ მოდულების დაწყების ვადები, რომელთაც განსაზღვრული ჰქონდა წინაპირობები, წინაპირობის მქონე მოდულების დაწყების ერთკვირიანი ვადა გაიზარდა ორ კვირამდე, რაც პროფესიულ სტუდენტებს აძლევთ ორჯერ გადაბარების შესაძლებლობას. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-3 მუხლის მიხედვით, შეფასების შედეგებთან დაკავშირებით პროფესიული სტუდენტის პრეტენზიას იხილავს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. ამავე დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტის პრეტენზიის საფუძველზე შეფასების შედეგები, შეფასების ინსტრუმენტი და კრიტერიუმების გარჩევა მოხდება სასწავლო დეპარტამენტის, სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის მონაწილეობით, შესაძლებელია ყველა მონაწილის თანხმობით მოწვეული იქნას ნეიტრალური პირ(ებ)ი, როგორც სტუდენტის, ასევე დაწესებულების მხრიდან. შეფასებასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვის დროს ყველა დაუსაბუთებელი და მტკიცებულებით დაუდასტურებელი გარემოება უნდა გადაწყდეს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ. პროფესიული სტუდენტის პრეტენზიასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებული საქმისწარმოებისათვის განსაზღვრული არ არის ვადები, კომისიის შექმნის, გადაწყვეტილების მიღებისა და პროფესიულ სტუდენტთა/პროცესში ჩართულ მხარეთა ინფორმირების მკაფიო მექანიზმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენთა მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცესის დოკუმენტური მართვა, მათ შორის განსაზღვროს შეფასების შედეგების აპელაციის საქმისწარმოების ვადები, კომისიის შექმნის, გადაწყვეტილების მიღებისა და პროფესიულ სტუდენტთა/პროცესში ჩართულ მხარეთა ინფორმირების მკაფიო მექანიზმები.

4. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევითი პრინციპით, შეამოწმა სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი არასრულწლოვანი, და კურსდამთავრებულების პირადი საქმეები (უპირატესად შესწავლილ იქნა კოლეჯის რეავტორიზაციის შემდეგ ჩარიცხულ პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეები). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებს. კოლეჯმა წარმოადგინა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, სადაც განთავსებული იყო მშობლის პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობების ასლი. არასრულწლოვან პირთან ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულია შეთანხმება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც შემუშავდა სტატუსაღდგენილი და მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში. სასწავლო გეგმა შემუშავებულია სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და გაეცნო სტუდენტს, რის დასტურადაც წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტებთან ელექტრონულ ფოსტაზე განხორციელებული მიმოწერა, თუმცა სასწავლო გეგმაზე არ იყო მითითებული პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, მისი ხელმოწერა, მისი შედგენის თარიღი და სხვა, რისთვისაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია. აღნიშნული ტიპის რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ყველა დოკუმენტთან მიმართებით, რაც მოცემულია ზოგადი რეკომენდაციების ნაწილში.

კოლეჯის განახლებული სასწავლო პროცესის მართვის წესის მე-7 მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევებს, მათ შორის განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც ა)კოლეჯში სწავლობს სსსმ/შშმ სტუდენტი/მსმენელი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას; ბ) სტატუს შეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს აღუდგა სტატუსი; გ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმება ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღება ან პროგრამის შეცვლა/გაუქმება, როდესაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა; დ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან. ამავე წესით დარეგულირებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი და ჩართული მხარეების ფუნქციები, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცებისა და კონტროლის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის შინაგანაწესი;
2. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი;
4. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტის, კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტები, პირადი საქმეები, პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტატუსაღდგენილ და მობილობით გადმოსულ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
6. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული შეთანხმებები პერსონალურ მონაცემტა დამუშავების შესახებ;
7. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
8. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ვებგვერდი და სოციალური ქსელი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების პროფესიული სტუდენტები კოლეჯის პერსონალისგან კონსულტირებასა და მხარდაჭერას იღებენ შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- პროფესიულ სტუდენტებს ჩარიცხვისთანავე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომლის დროსაც კოლეჯის დირექტორის, პროგრამის ხელმძღვანელისა და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის მისიის, მიზნების, ხედვა და ღირებულებების, სამოქმედო გეგმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების თავისებურებების, შეფასების სისტემის, პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების, პროფესიული სტუდენტისათვის კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების თაობაზე და სხვა;
- პროფესიულ სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ ასევე გამოიყენება კორპორატიული ელ. ფოსტა, სოციალური ქსელი და სხვა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები გარდა სააუდიტორიო მუშაობისა, მუდმივად კავშირში არიან პროფესიულ სტუდენტებთან და აძლევენ მათ შესაბამის რჩევებს და უწევენ კონსულტაციას. პროფესიული განათლების მასწავლებლები პერსონალური მონაცემების დაცვით იხილავენ შეფასების შედეგებს და აძლევენ შესაბამის უკუკავშირს პროფესიულ სტუდენტებს;
- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი მუდმივ რეჟიმში ახდენს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- კოლეჯში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმის დანერგვა, რომელიც დასრულების ფაზაშია და დარჩენილია 10 დღის სამუშაო, რაზეც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კომპანიასთან გაფორმებული შეთანხმება. ელექტრონული პლატფორმა სრულად მოიცავს ყველა იმ სერვისს, რაც შეიძლება საჭირო და სასარგებლო იყოს პროფესიული სტუდენტისათვის, მათ შორის სასწავლო პროცესის მიმართულებით პლატფორმაში იტვირთება პროგრამა/მოდულები, შეფასების შედეგები, მეცადინეობის განრიგი, ბიბლიოთეკა; ადმინისტრაციული მიმართულებით - პროფესიულ სტუდენტებს შეეძლებათ ელექტრონული მიმოწერა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, განცხადების შედგენა და გაგზავნა, გაგზავნილი განცხადების სტატუსისათვის თვალის მიდევნება, მოთხოვნილი დოკუმენტის (მაგალითად ცნობა) მიღება, ჩამოტვირთვა და სხვა. აღნიშნული პლატფორმის ჩვენება მოხდა ექსპერტებისათვის უშუალოდ შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლის მიერ.

სასწავლო წლის დასაწყისში კოლეჯის დირექტორი და პერსონალი შეხვდა პროფესიულ სტუდენტებს და საორიენტაციო შეხვედრაზე გააცნო მათ პროგრამა, კოლეჯის ძირითადი მარეგულირებელი აქტები, მათი უფლებები და ვალდებულებები და სხვ. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა განაცხადეს, რომ კოლეჯში ჩარიცხვამდე იმყოფებოდნენ ადმინისტრაციულ პერსონალთან და მაშინაც მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია.

კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულია კოლეჯის პერსონალის ფუნქციები, სადაც თითოეული მათგანისათვის დელეგირებულია პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და დახმარებისკენ მიმართული მოვალეობები, მათ შორის - კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი დოკუმენტით გაწერილია სასწავლო დეპარტამენტის ფუნქციები, რომლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის, არსებული სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელება და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თავად და დეპარტამენტის წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტებთან აქტიურ თანამშრომლობას სწავლების პროცესის სრულყოფისა და მათი პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს ლექცია-მეცადინეობების წარმართვისას კალენდარული გეგმის შესაბამისად და მოდულით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სტუდენტთა მომზადებას/მზაობის შემოწმებას, საკონტაქტო თუ დამოუკიდებელი მუშაობის საათებში შესრულებული სამუშაოს სწორ შეფასებას, პრაქტიკულ საქმიანობაში დახმარებას, სუსტი მხარეების აღმოჩენასა და დასაბუთებული რეკომენდაციის გაწევას, პროფესიული სტუდენტის მოტივაციის ზრდას. კოლეჯს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს სტუდენტთა სერვისების გაუმჯობესება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების შიდა მარეგულირებელ აქტში გაწერილია სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტირების აქტივობები და პასუხისმგებელი პირები.

პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის ზემოაღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. პროფესიულ სტუდენტებს ჩარიცხვისთანავე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომლის დროსაც კოლეჯის დირექტორის, პროგრამის ხელმძღვანელისა და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის მისიის, მიზნების, ხედვა და ღირებულებების, სამოქმედო გეგმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების თავისებურებების, შეფასების სისტემის, პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების, პროფესიული სტუდენტისათვის კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების თაობაზე და სხვა.

კლინიკური მოდულების დაწყებამდე პროფესიული სტუდენტების გაგზავნის წინ უტარდებათ ინსტრუქტაჟი და კონსულტაციები.

სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ ვადებში. აღნიშნულის დადასტურებისთვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები და კოლეჯის რეაგირების ფაქტები, მათ შორის სტატუსის მინიჭების, მობილობის, სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანებები, გაცემული ცნობები და სხვ. კოლეჯში შემოსული კორესპოდენციის შესრულების კონტროლის მექანიზმები გაწერილია კოლეჯის **საქმისწარმოების წესში**, სადაც აღნიშნულია, რომ კანცელარია ახორციელებს შემოსული დოკუმენტის სარეზოლუციო ფურცელში მითითებულ ვადებში დოკუმენტის შესრულებაზე კონტროლს. ვადის ათვლა იწყება დოკუმენტის შემსრულებლისათვის გადაცემის მომენტიდან. დოკუმენტის შესრულების ვადის გაგრძელება შეუძლია მხოლოდ კოლეჯის დირექტორს აქტის გამოცემის ან/და მის გარეშე, შემსრულებლის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტების შესრულების კონკრეტული ვადა, რომელიც არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადას, განსაზღვრული არ არის, ფაქტობრივი მტკიცებულებებით ეს ვადა დარღვეული არ არის, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა განსაზღვროს უფრო მკაფიო პროცედურები, რისთვისაც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომელიც წარმოდგენილია ზოგადი რეკომენდაციის სახით.

კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტით - „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები“ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის დოკუმენტის მე-3 მუხლში მოცემულია ჩანაწერი - პროფესიული სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან არაუგვიანეს 10 დღისა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფაქტობრივი მდგომარეობებისა და შესაბამისი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, საანგარიშო პერიოდში (რეავტორიზაციის შემდეგ) კოლეჯს არ დაურღვევია მოცემული ვადა.

კოლეჯში გონივრულ ვადებში პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის განხორციელების ფაქტი დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

4. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით ახორციელებს ცალკეულ აქტივობებს, რომელიც ჩატარდა როგორც კოლეჯში, ისე სკოლებში გასვლითი ღონისძიებების სახით. აღნიშნული აქტივობების ჩატარების დასტურად წარმოდგენილია ფოტო მტკიცებულებები.

კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტით - „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები“ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები. დოკუმენტის მე-3 მუხლში მოცემულია „სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები“, რის მიხედვითაც, დაწესებულებაში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავების, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა. დაწესებულების ბიუჯეტში სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად გაითვალისწინება გარკვეული თანხა, რომლის ფარგლებში დაწესებულება წლიურად აფინანსებს არანაკლებ 3 საუკეთესო ინიციატივას. კონკრეტული ინიციატივის მაქსიმალური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს (თუმცა პროექტის შინაარსისა და მისი შედეგების შესწავლის საფუძველზე შესაძლოა გამართლებული იყოს გადაწყვეტილება დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის მიზანშეწონილობის შესახებ). პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივის განხილვის პროცედურებია: სტუდენტის/სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიციატივა საპროექტო განაცხადის სახით წარედგინება დაწესებულების დირექტორს. (საპროექტო განაცხადის მიღება წარმოებს მთელი წლის განმავლობაში). საპროექტო განაცხადი უნდა მოიცავდეს შესაბამის დასაბუთებასა და პროექტის ბიუჯეტს. საპროექტო განაცხადის განხილვის ეტაპზე უპირატესობა მიენიჭება ისეთ საპროექტო განაცხადს, რომელიც ხელს შეუწყობს: პროფესიულ სტუდენტთა აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას; პროფესიულ სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას; პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას სამოქალაქო აქტივობებში; პროფესიულ სტუდენტებში ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას; მისცემს პროფესიულ სტუდენტებს თვითრეალიზაციის უნარის ჩამოყალიბების საშუალებას; აამაღლებს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას დაწესებულების ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში და ხელს შეუწყობს სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნებას. დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს დირექტორის თანაშემწე, სხვადასხვა რელევანტური სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთან ერთად. ამასთან, მხარდამჭერი პირები არიან პასუხისმგებელნი იმ მტკიცებულებების შეგროვებაზე (ოქმი, განაცხადი, საპასუხო წერილი, შესყიდვები,ფოტო და ვიდეო მასალა და სხვა ყველა მტკიცებულება) რომელიც ასახავს პროექტის განხორციელებას. დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების წინასწარ დაანონსებას უზრუნველყოფს დაწესებულება დაწესებულების სოციალური გვერდისა და ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით. გარდა წინამდებარე მუხლებით გათვალისწინებული სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერისა, დაწესებულება საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინიციატივითაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა არაფორმალურ აქტივობათა დაგეგმვა- განხორციელებას, რომელიც გამოიკვეთება შეხვედრების ფარგლებში.

აღნიშნული პროცედურული დოკუმენტი ახალი შემუშავებულია და ამ მექანიზმებით ჯერ არც ერთ პროფესიულ სტუდენტს არ უსარგებლია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულ სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივები და სურვილები გაუზიარონ კოლეჯს. მათ მიერ დასახელებულია ცალკეული მაგალითები, რომელიც კოლეჯმა სრულად გაითვალისწინა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საკუთარი და მოზიდული რესურსით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა წერილები, სადაც ისინი აფასებენ დაწესებულებაში არსებულ სერვისებს და აფიქსირებენ მათ საჭიროებებს. აღნიშნული განხორციელდა სასწავლო დეპარტამენტის მიერ, რადგან მოკლე დროში მაღალი იყო პროფესიულ სტუდენტთა გადინების მაჩვენებელი (19 ჩარიცხული პროფესიული სტუდენტიდან სხვადასხვა მიზეზით სწავლა შეწყვიტა/შეაჩერა 10-მა). პროფესიული სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, კოლეჯმა გაზარდა ლექციებს შორის შესვენების ხანგრძლივობა, დაწია პროფესიულ სტუდენტთა გაცდენების ზღვარი და სხვა, თუმცა ამ გამოკითხვებიდან საგანგაშო საკითხები არ გამოკვეთილა.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ იმდენად ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ კოლეჯის პერსონალთან და დირექტორთან, ანონიმურ გამოკითხვებს არ საჭიროებენ, მათ სურვილებს კოლეჯის პერსონალი პერმანენტულად ეცნობა და მხარს უჭერს. ექსპერტთა ჯგუფმა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთხოვა მაგალითის სახით დაესახელებინათ რამდენიმე მათგანი, პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს იგივე აქტივობები, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა და სხვა. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიურებისას ყველა პირს ჰკითხა მათი ხედვა, კოლეჯში არსებული მცირე კონტინგენტისა და პროფესიულ სტუდენტთა გადინების მაღალი მაჩვენებლების შესაძლო მიზეზების თაობაზე. ყველა მათგანი აფიქსირებს ერთ პოზიციას, რომ პროფესიულ სტუდენტთა მოლოდინი სწავლის სიმარტივესთან დაკავშირებით, არ გამართლდა. კოლეჯში სწავლა საკმაოდ რთულია, მკაცრად მოთხოვნილია მეცადინეობებზე დასწრება, კლინიკაში სიარული და სწავლა. ექსპერტთა ჯგუფმა დასვა დამაზუსტებელი კითხვები, თუ რაში მდგომარეობდა მათთვის სწავლის სირთულე. პროფესიულმა სტუდენტებმა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ რთულია პროგრამა, ბევრი საკითხებია, გამოცდები მკაცრად ტარდება და პროფესიულ სტუდენტებს სხვა ალტერნატივა არ აქვთ, ან სწავლობენ ან ტოვებენ კოლეჯს. კურსდამთავრებულები ამ ფაქტს მიესალმებიან და აღნიშნავენ, რომ ამ მიდგომების წყალობით, ისინი ღირსეულად დასაქმდნენ პროფესიით და მარტივად ადაპტირდნენ სამუშაო გარემოსთან, მათ ამისთვის ყველა საჭირო ცოდნა და უნარი ჰქონდათ. კოლეჯი ამ მიდგომების წყალობით მაღალი რეპუტაციისაა და როდესაც ამბობენ რომ ამ კოლეჯის კურსდამთავრებულები არიან, დამსაქმებლებს მაღალი მოლოდინი აქვთ. პროფესიული სტუდენტებიც იზიარებენ ამ მიდგომებს და მიესალმებიან კოლეჯის მოთხოვნებს სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულებაში სწავლა/სწავლებისა და მისი საქმიანობის მუდმივი მონიტორინგის, კმაყოფილების კვლევისა და შეფასების ანალიზით უზრუნველყოფს არსებული პროცესების ხარისხის გაუმჯობესებასა და ამაღლებას. ზრუნავს სწავლისა და სწავლების დონის ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდების მოძიებაზე, ადაპტირებასა და იმპლემენტაციაზე, განათლების ხარისხთან, მისი გაუმჯობესების მექანიზმებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება-გაანალიზებასა და შედეგების გამოყენებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახორციელებს ხარისხის შიდა შეფასებას, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანონიმურ ან/და ღია გამოკითხვებს, ლექციებზე დასწრებას - პრაქტიკული მეცადინეობების მიმდინარეობის მონიტორინგს და დადასტურების (შეფასების) პროცესს. კოლეჯმა გააუმჯობესა პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის კითხვარები, თუმცა მათი შესრულების მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო კოლეჯის რევატორიზაციის პროცესში, 2022 წლის გაზაფხულზე, ბოლო 6 თვეში შეიცვალა ინსტრუმენტები (კითხვარები), ხოლო შეფასების პროცესი კოლეჯის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 2022-2023 წლის განმავლობაში. აღნიშნულის თაობაზეც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისი რეკომენდაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, თუმცა რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დაგეგმვა, ადმინისტრირება განხორციელდეს პერიოდულად, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საქმისწარმოების წესი;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი წესების კრებული;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯში მიღებული და გასული კორესპონდენციები, მათი აღრიცხვის ჟურნალები;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა;
7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების ამსახველი ფოტო და საინფორმაციო მასალები;
8. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სამოქმედო გეგმა;
9. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
10. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
11. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ვებგვერდი და სოციალური ქსელი.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს. პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ კოლეჯი, ადმინისტრაციის ყველა რგოლისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით პირისპირ, ელექტრონული ფოსტის, კოლეჯის სოციალური ქსელის მეშვეობით უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას.

პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, კოლეჯში გაწერილია შიდა მარეგულირებელ აქტში - სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები. რის მიხედვითაც, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციურ პროფესიული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულთათვის. პოტენციური სტუდენტებისთვის პროფორიენტაციის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, სადაც პოტენციურ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ კოლეჯში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებს, დასაქმების შესაძლებლობებს, მიიღონ ინფორმაცია პოტენციური დამსაქმებლების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით კოლეჯი ქმნის დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს. დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზების განახლება ხდება წელიწადში ორჯერ და ან უფრო მეტჯერ საჭიროების დადგომის შემთხვევაში. პოტენციური დამსაქმებლების პირადი ინიციატივით მომართვის შემთხვევაში დირექტორის თანაშემწე ან/და სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენლები კურსდამთავრებულებს აცნობენ შემოთავაზებულ წინადადებას და მისი თანხმობის შემდეგ აკავშირებენ დამსაქმებელთან. დაწესებულება, სასწავლო დეპარტამენტის ან/და დირექტორის თანაშემწის მეშვეობით, შესაძლებელია საკუთარი ინიციატივითაც დაუკავშირდეს პოტენციურ დამსაქმებლებს, მოიძიოს ვაკანსიები დასაქმების საიტებზე, რის შემდეგაც კურსდამთავრებულს აცნობს წინადადებებს. ზემოთ აღნიშნული აქტივობების დამადასტურების მტკიცებულებების შეგროვებაზე, პასუხისმგებელია დირექტორის თანაშემწე. აღნიშნული მექანიზმების შესრულების მტკიცებულების ნაწილი ინფორმაციის სახით მოცემულია კოლეჯის სოციალურ ქსელში, წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა ბაზა და დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფთან პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების, ასევე შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ, ასევე მათთვის დასაქმების კარგი შესაძლებლობაა კლინიკური მოდულების განხორციელების პერიოდში სამედიცინო დაწესებულებებში ყოფნა.
ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯის პერსონალი, პერიოდულად აწვდის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. კოლეჯი ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევას, რისთვისაც ხელმძღვანელობს კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტით - პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგიით. კოლეჯში საანგარიშო პერიოდში მოდიფიცირდა დასაქმების მაჩვენებლების კვლევისათვის გამოყენებული კითხვარები და იძლევა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნული მიზნებისათვის კოლეჯი იყენებს კურსდამთავრებულების გამოკითხვის კითხვარს, დამსაქმებლების გამოკითხვის კითხვარს და აანალიზებს მიღებულ შედეგებს. დასაქმების კვლევას კოლეჯი ახორციელებს პროგრამის დასრულებიან 6 თვის შემდეგ. აღნიშნული აქტივობის ხელშეწყობისათვის კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს პროფესიული უნარების სააგენტოსთან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები/სტატისტიკა, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ კურსდამთავრებულთა 85% დასაქმებულია, 1%-ის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, 13% არ არის დასაქმებული, ხოლო 1% დასაქმებულია პროფესიის გარეთ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. კოლეჯი ეცნობა კურსდამთავრებულთა საჭიროებებს, მათი კურსდამთავრებულთა ნაწილი ამავე კოლეჯშია დასაქმებული ან პარტნიორი დაწესებულების სახელით თანამშრომლობს კოლეჯთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა 4 ასეთ კურსდამთავრებულს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კოლეჯს ამ მიმართულებით გასაუმჯობესებელი არაფერი არ აქვს და პირიქით მადლობას უხდიან. კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი აღნიშნავს, რომ მზად არიან ნებისმიერი უკუკავშირის შედეგები გაითვალისწინონ კოლეჯის პროცესების სრულყოფისათვის, თუმცა ამას ახორციელებენ ზეპირი კომუნიკაციის გზით.

კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულებაში სწავლა/სწავლებისა და მისი საქმიანობის მუდმივი მონიტორინგის, კმაყოფილების კვლევისა და შეფასების ანალიზით უზრუნველყოფს არსებული პროცესების ხარისხის გაუმჯობესებასა და ამაღლებას. ზრუნავს სწავლისა და სწავლების დონის ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდების მოძიებაზე, ადაპტირებასა და იმპლემენტაციაზე, განათლების ხარისხთან, მისი გაუმჯობესების მექანიზმებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება-გაანალიზებასა და შედეგების გამოყენებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახორციელებს ხარისხის შიდა შეფასებას, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანონიმურ ან/და ღია გამოკითხვებს, ლექციებზე დასწრებას - პრაქტიკული მეცადინეობების მიმდინარეობის მონიტორინგს და დადასტურების (შეფასების) პროცესს. კოლეჯმა გააუმჯობესა პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის კითხვარები, თუმცა მათი შესრულების მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. რის თაობაზეც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისი რეკომენდაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, თუმცა რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დაგეგმვა, ადმინისტრირება განხორციელდეს პერიოდულად, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი წესების კრებული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯში მიღებული და გასული კორესპოდენციები, მათი აღრიცხვის ჟურნალები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის კურსდამთავრებულთა ბაზები და დასაქმების სტატისტიკა;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების ამსახველი ფოტო და საინფორმაციო მასალები;
7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სამოქმედო გეგმა;
8. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
9. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პერსონალთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
10. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ვებგვერდი და სოციალური ქსელი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და საშტატო ერთეულების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. აღნიშნული დარეგულირებულია კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულში და გაწერილია დოკუმენტით - თანამდებობრივი ინსტრუქცია/ საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კოლეჯის პერსონალის მიერ ხელმოწერილია თანამდებობრივი ინსტრუქციებით გაწერილი მოვალეობები და იცნობენ მათ, რაც დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფთან პერსონალის ინტერვიურებით.

კოლეჯის მართვის ორგანოებია: დამფუძნებელი/დამფუძნებელ პარტნიორთა კრება და დირექტორი. კოლეგიური სათათბირო ორგანო - ადმინისტრაციის საბჭო. კოლეჯის სტრუქტურა აერთიანებს იმ დეპარტამენტებს, სამსახურებს, განყოფილებებს ან/და ცალკეულ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, როგორც თავად დაწესებულების ფუნქციონირებას, ასევე სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელებას, სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მათთვის სტუდენტური სერვისების ხელმისაწვდომობას. ამ მიზნით კოლეჯში ფუნქციონირებს შემდეგი სამსახურები და სპეციალისტები: სასწავლო დეპარტამენტი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; პროფესიულ მასწავლებელთა კორპუსი; ბიბლიოთეკა; საქმის წარმოების სამსახური; დაწესებულების რეესტრის წარმოების სამსახური; იურისტი; ბუღალტერი; IT მხარდაჭერის სპეციალისტისაზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სპეციალისტი; კარიერის მართვის და მხარდაჭერის სპეციალისტი; პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის კაბინეტი; დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტი; ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი. კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული პროგრამების და ამ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით და სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზების მიზნით, დირექტორი უფლებამოსილია შექმნას დამატებით სტრუქტურული ერთეულები.

საანგარიშო პერიოდში განახლდა პერსონალის ფუნქციები, გადაიხედა კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტები და პერსონალთა დიდი ნაწილის როლები მოვიდა შესაბამისობაში მათზე დელეგირებულ მოვალეობებთან, თუმცა ამ კუთხით გადახედვას საჭიროებს კოლეჯის სტრატეგიული გეგმა (იხ. პირველი სტანდარტის აღწერა), ხოლო განვითარებას საჭიროებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

პირის სამუშაო დატვირთვა (საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი დასაქმებულია ნახევარ საშტატო ერთეულზე).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

2. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯის პერსონალის შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: დირექტორი; დირექტორის თანაშემწე; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი; სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი; სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე; სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანაშემწე; ბიბლიოთეკარი; რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი; საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი; იურისტი; ბუღალტერი; პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის სამსახურის ექთანი; დამლაგებელი. კოლეჯი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს დაცვისა და უსაფრთხოების კომპანიასთან და IT სპეციალისტთან. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით სასწავლო დეპარტამენტის პერსონალი ასრულებს კარიერული მხარდაჭერის სპეციალისტის ფუნქციებს, ხოლო კოლეჯის პერსონალის მართვის საკითხები განაწილებულია შემდეგნაირად: პროფესიული განათლების მასწავლებელთა დაგეგმვა/შერჩევას ახორციელებს სასწავლო დეპარტამენტი, ადმინისტრაციული პერსონალის დაგეგმვა/შერჩევას დირექტორის აპარატი, ხოლო HR პროცესების ადმინისტრირებას/დოკუმენტირებასა და პირადი საქმეების მართვას - კანცელარია. თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფასა და იურისტის პოზიციაზე დასაქმებულია ერთი პირი, რომელიც თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრულ მოვალეობებს ასრულებს ნახევარ საშტატო განაკვეთზე. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი დასაქმებული იყოს სრულ საშტატო განაკვეთზე, რაც გამომდინარეობს დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვნებიდან და ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესასრულებელი მოვალეობების მოცულობიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი დასაქმებული იყოს სრულ საშტატო განაკვეთზე, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამომდინარეობს დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვნებიდან და ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესასრულებელი მოვალეობების მოცულობიდან.

3. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი) გაწერილია კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულში. მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გადაიხედოს აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები (იხ. პირველი სტანდარტის 1.2.1.3 ინდიკატორის აღწერა).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქცია/საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი წესების კრებული;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტრუქტურა;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საშტატო განრიგი;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტრატეგიული გეგმა;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პერსონალის მართვის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ მოდიფიცირდა შიდა მარეგულირებელი აქტები და მოვიდა შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კოლეჯში პერსონალის მართვის პროცედურები რეგულირდება პერსონალის მართვის პოლიტიკითა და შინაგანაწესით. მოცემულ დოკუმენტებს იცნობს კოლეჯის პერსონალი, რაც დადასტურებულია დოკუმენტების გაცნობის თაობაზე პერსონალის ხელმოწერის ფურცლებით. კოლეჯის შინაგანაწესში სავალდებულოდ მოთხოვნილ დოკუმენტთა ნუსხაში გაწერილია „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობის სავალდებულოდ წარმოდგენის ვალდებულება, ხოლო თავად ცნობები განთავსებულია კოლეჯის ყველა პერსონალის პირად საქმეში, რაც გადამოწმებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ. პერსონალის სამუშაო დრო დაზუსტდა კოლეჯის შინაგანაწესში და მოვიდა შესაბამისობაში პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ ჩანაწერთან. პერსონალის სამუშაო დრო არ ცდება კანონმდებლობით დადგენილ მაჩვენებლებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრის საჭიროების დადგენის წესს, თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის პოლიტიკას, პერსონალის შერჩევის პროცესს, კონკურსის გამოცხადებასა და ორგანიზებას, კონკურსის ჩატარების დეტალებს, კონკურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შედეგებსა და მისი გასაჩივრებას, ასევე პერსონალის პირადი საქმეების ადმინისტრირების მექანიზმებს. კოლეჯმა საანგარიშო პერიოდში გამოაცხადა კონკურსი პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით და აიყვანა რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელი, თუმცა საკონკურსო წარმოებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები არ წარმოუდენგენია, გარდა კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭოს სხდომის საოქმო გადაწყვეტილებისა, სადაც საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონკურსის გამოცხადების შესახებ. სხვა სახის საკადრო ცვლილება საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, რეკომენდებულია კოლეჯში განისაზღვროს პერსონალის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესების დაგეგმვას, ადმინისტრირებასა და შესაბამისი დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას.

კონკურსის შედეგად ან პირდაპირი დანიშვნის გზით შერჩეულ პერსონალთან კოლეჯის დირექტორს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები კანონმდებლობით დადგენილი წესით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული, დამხმარე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები.

კოლეჯის შინაგანაწესითა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, შვებულების, პერსონალის საქმიანობის შეფასების, კმაყოფილების კვლევისა და პერსონალის განვითარების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

კოლეჯის შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს კოლეჯის პერსონალთან სამართლებრივ ურთიერთობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები, დისკრიმინაციისა და იძულებითი შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული კოლეჯის მიდგომები, სამუშაო დრო და სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო, სამსახურში გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები, არასამუშაო საათებში პერსონალის კოლეჯის ტერიტორიაზე ყოფნის პირობები, შვებულება და უქმე დღეები, მივლინებები, პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური მექანიზმების გამოყენების წესები, შრომის უსაფრთხოების, საქმიანობის შეფასებისა და სხვა საკითხები. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების წესი განსაზღვრულია პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს მათი დატვირთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, სადაც განსაზღვრული იქნება მოდულში მითითებული საკონტაქტო საათების გარდა, დამატებითი სამუშაოს დატვირთვის ოდენობა. ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა.

პერსონალის პირადი საქმეებით დასტურდება პერსონალის კვალიფიციურობა, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯის დასაქმების პოლიტიკა ორიენტირებულია ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით მაღალი კვალიფიკაციის პერსონალის მოზიდვაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა გამოყოს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი და უზრუნველყოს პერსონალის მართვის ადმინისტრირება შესაბამისი მტკიცებულების გზით.

3. კოლეჯში თანამდებობრივი ინსტრუქცია/ საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრავს კოლეჯის თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. თითოეული მათგანის პირად საქმეში წარმოდგენილია კოლეჯის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობები სამუშაო გამოცდილების შესახებ, სერტიფიკატის ასლები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

4. კოლეჯში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაზეც მოწმობს კოლეჯის მმართველობითი ორგანოები და სათათბირო კოლეგიალური ორგანო - ადმინისტრაციული საბჭო, რის მიხედვითაც გადაწყვეტილებების მიიღება არ ხდება ერთპიროვნულად.

კოლეჯში სხვადასხვა პროცესები ასევე მიმდინარეობს გუნდურად, მაგალითად სტრატეგიული დაგეგმვა, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მხარდაჭერის ჯგუფები და სხვ., თუმცა აღნიშნული ფორმალიზებული არ არის. კერძოდ, არ გამოიცემა ბრძანება სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჯგუფების შექმნის შესახებ, არ მიმდინარეობს საოქმო წარმოება, გარდა ადმინისტრაციული საბჭოს ოქმებისა. აღნიშნულის თაობაზე გაცემულია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში ზოგადი რეკომენდაციების სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქცია/საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი წესების კრებული;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტრუქტურა;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საშტატო განრიგი;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა მოიცავს პერსონალის საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებულ პროცესებს, რის მიხედვითაც კოლეჯში პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა ემყარება შემდეგ მიზნებს - მოახდინოს კოლეჯის პერსონალის საჭიროებების, სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მათი გამოსწორების გზების შემუშავება; გამოავლინოს კოლეჯის პერსონალის შესაბამისი შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას; შეაფასოს კოლეჯის პერსონალის საქმიანობა სწავლების და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში; დროულად მოახდინოს აშკარა სირთულეების იდენტიფიცირება კოლეჯის პერსონალის მიერ პროფესიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროცესში და დასახოს მისი მოგვარების გზები; კოლეჯის მიზნებიდან და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, მოხდეს კვალიფიციური პერსონალის საჭიროების გამოვლენა. კოლეჯში პერსონალის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს კითხვარებით ან გასაუბრებით და მათი მიზანია გამორკვეულ იქნეს პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შეფასდეს პერსონალისათვის შეთავაზებული პირობების ეფექტურობა. პერსონალი შეფასებას ექვემდებარება წელიწადში ერთხელ: სასწავლო წლის დასასრულს. შეფასების მეთოდოლოგია: შერჩეული შეფასების სისტემა დაფუძნებულია 360 გრადუსიან შეფასებასა და უშუალო ხელმძღვანელის შეფასებაზე. 360-გრადუსიანი უკუკავშირი (შეხედულებების/მოსაზრებების გაზიარება), იგივე მრავალრაკურსიანი, მრავალ წყაროზე დაფუძნებული უკუკავშირი ან შეფასება მოიცავს დასაქმებულის გარშემო ყველა მიმართულებას, და წრის ცენტრს წარმოადგენს დასაქმებული. უკუკავშირი გროვდება სხვადასხვა წყაროდან - თვითშეფასებიდან, კოლეგებისა და უშუალო ხელმძღვანელებიდან, ემატება სტუდენტებისა და მასწავლებლების მხრიდან შეფასება იმ ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, რომელსაც შეხება აქვს სტუდენტებთან ან/და მასწავლებლებთან. თანამშრომლებს ხელმძღვანელებიდან აფასებს ორი დონის მენეჯერი, კერძოდ, მის იერარქიაში თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელი და მისი ზემდგომი. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ყველა მმართველი რგოლის თანამშრომელთან მიმართებით ობიექტურ და გაშუალებულ შეფასებას. შეფასების შედეგების შესაბამისად, შესაძლოა, განისაზღვროს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება. ასეთ შემთხვევაში, დაწესებულება, შეფასებულსა და მის უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ადგენს პერსონალის განვითარების გეგმას და უზრუნველყოფს მის აღსრულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კოლეჯს შემუშავებული აქვს კითხვარები ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასებისა და საჭიროებათა/კმაყოფილების კვლევისათვის, თუმცა შევსებული კითხვარები ან პერსონალის საქმიანობის შეფასების ანგარიშები კოლეჯს არ წარმოუდგენია. აღნიშნული ფაქტი კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ აიხსნა იმით, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურული დოკუმენტები შეიქმნა 2022 წლის ბოლოს, ხოლო პერსონალის საქმიანობის შეფასება დაგეგმილია 2023 წლის სამოქმედო გეგმაში.

კოლეჯის პერსონალმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მათ საქმიანობას თვალყურს ადევნებს კოლეჯის დირექტორი და საჭიროებისამებრ იღებენ შენიშვნებს პროცესის გაუმჯობესებისათვის. პერსონალის შემადგენლობის მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, თვალსაჩინოა თითოეული დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი. ამიტომ, აქამდე ეს პროცესი ფორმალიზებული არ იყო, თუმცა იცნობენ ახალ პროცედურებს.
კოლეჯის დირექტორი ეცნობა პერსონალის საჭიროებებსა და სურვილებს, რომელსაც პერსონალი აჟღერებს პირად საუბრებში. პერსონალს ჰარმონიული ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა აქვთ და კომუნიკაციის ბარიერი არ იგრძნობოდა. პერსონალის საჭიროებათა დაკმაყოფილებისთვის მაგალითად კოლეჯის დაფინანსებით გადაემზადა კოლეჯის ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

2. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი მათი საჭიროების შესახებ პირდაპირ კომუნიკაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორთან და რომელიც უზრუნველყოფს მათი საჭიროების დაკმაყოფილებას. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია კოლეჯის ბიბლიოთეკის პერსონალის მიერ გავლილი ტრენინგი. კოლეჯის დაფინანსებითა და ორგანიზებით ჩატარებული ტრენინგები საქმისწარმოების მიმართულებით და სხვ. აღნიშნული ასევე დადასტურებულია გადამზადებულ პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

კოლეჯის დირექტორთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას მან განაცხადა, რომ მზადაა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება მათი საჭიროების შესაბამისად იმ ოდენობით, რასაც მოითხოვს საჭიროება, აღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პერსონალის განვითარების გეგმა, რის მიხედვითაც 2023 წლის განმავლობაში კოლეჯს დაგეგმილი აქვს პერსონალის გადამზადება ისეთი მიმართულებით, როგორიცაა - პროფესიული ტრენინგები (დარგობრივი ტრენინგები, საჭიროების მიხედვით), კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება, კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება, შრომითი უფლებები, ელექტრონული საქმის წარმოება, ავტორიზაციის სტანდარტები და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

3. კოლეჯი სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე იწყებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონსულტირებასა და მხარდაჭერას, რასაც ახორციელებს ყოველდღიურად სამუშაო შეხვედრების, თუ სატელეფონო კონსულტირების გზით. აღნიშნულის თაობაზე არაერთხელ აღნიშნა კოლეჯის პერსონალმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობას სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ დაგეგმილ ტრენინგებზე.

კოლეჯის დირექტორთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას მან განაცხადა, რომ მზადაა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება მათი საჭიროების შესაბამისად იმ ოდენობით, რასაც მოითხოვს საჭიროება, აღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პერსონალის განვითარების გეგმა, რის მიხედვითაც 2023 წლის განმავლობაში კოლეჯს დაგეგმილი აქვს პერსონალის გადამზადება ისეთი მიმართულებით, როგორიცაა - პროფესიული ტრენინგები (დარგობრივი ტრენინგები, საჭიროების მიხედვით), კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება, კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება, შრომითი უფლებები, ელექტრონული საქმის წარმოება, ავტორიზაციის სტანდარტები და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-16 მუხლი არეგულირებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესს. კოლეჯში ახალი პერსონალის ადაპტაციის პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს ახალ თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, კოლეჯის მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებისა და მოქმედი წესების/რეგულაციების, პროცედურების შესახებ ცნობიერების გაზრდასა და კოლეჯის საზოგადოებაში ადაპტაციას. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესი გულისხმობს მისთვის კოლეჯის მიზნების, ღირებულებებისა და სტრატეგიულ გეგმის, შინაგანაწესის მოთხოვნებისა და კოლეჯში მოქმედი რეგულაციების, პროცედურებისა და წესების გაცნობას. სამუშაო აღწერილობის შესაბამისად მისთვის წაყენებული მოთხოვნების განმარტებას, კერძოდ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და უსახავს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა დადგინდეს მოკლე კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული, ტრენინგ-პროგრამა ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებული იქნება რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა. გამოსაცდელი ვადის არსებობის შემთხვევაში მოხდება დაკვირვება თუ რაოდენ ეფექტურად და ჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ საქმიანობას და განხორციელდება მისი შეფასება, და მიიღება გადაწყვეტილება თანამშრომლობის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში შესრულების კონკრეტული მტკიცებულებები კოლეჯის მიერ არ წარმოდგენილა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ აყვანილ პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელმაც დეტალურად აღწერა კოლეჯში მისი ინტეგრაციის პერიოდი და ისაუბრა კოლეჯის პერსონალის მიერ მიღებულ მხარდაჭერაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. კოლეჯის პერსონალთან და დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კოლეჯი ხელს უწყობს პერსონალის ჩართვას ტრენინგებში, თუ ისინი მიმართავენ დირექტორს შესაბამისი ინიციატივით, ასევე უზრუნველყოფენ თანამშრომლების მონაწილეობას სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებზე, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლი არეგულირებს პერსონალის განვითარების მექანიზმებს, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და კოლეჯის საქმიანობაში ჩართული სხვა პირების პროფესიული განვითარებისათვის გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: პროფესიული განვითარების ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები; სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კოლეჯთან თანამშრომლობით ან/და მის გარეშე დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა; ტრენინგებზე/კონფერენციებზე და სხვა აქტივობებზე მონაწილეობის მიზნით ფინანსების გამოყოფა.

კოლეჯის დირექტორთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას მან განაცხადა, რომ მზადაა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება მათი საჭიროების შესაბამისად იმ ოდენობით, რასაც მოითხოვს საჭიროება, აღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პერსონალის განვითარების გეგმა, რის მიხედვითაც 2023 წლის განმავლობაში კოლეჯს დაგეგმილი აქვს პერსონალის გადამზადება ისეთი მიმართულებით, როგორიცაა - პროფესიული ტრენინგები (დარგობრივი ტრენინგები, საჭიროების მიხედვით), კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება, კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება, შრომითი უფლებები, ელექტრონული საქმის წარმოება, ავტორიზაციის სტანდარტები და სხვ.

თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის შინაგანაწესი;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ზოგადმარეგულირებელი წესების კრებული;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმა;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალის განვითარების 2023 წლის გეგმა;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები;
7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულება იჯარის ხელშეკრულებით ფლობს წერეთლის N121-ში მდებარე 1255 კვ.მ. ფართს, იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ფართში განთავსებულია A, AC ტიპის აუდიტორიები, 1 B ტიპის გარემო,1 C გარემო, ბიბლიოთეკა, ოთახები ადმინისტრაციისთვის, სასერვერო სივრცე, სივრცე პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, სამედიცინო კაბინეტი, სამკითხველო. სამკითხველოში განთავსებულია კარადები არქივისთვის. სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისთვის, ასევე გამოყოფილია ინდივიდუალური სველი წერტილები როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის. კოლეჯის სასწავლო ფართში ასევე არის კვების ობიექტისთვის გამოყოფილი სივრცე, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კაფე არ ფუნქციონირებდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. კოლეჯში მატერიალური რესურსებით სარგებლობის მექანიზმები გაწერილია „მატერიალური რესურსის გამოყენების წესებში“, რის მიხედვითაც კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით. კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის სიმულაციური ლაბორატორიით კოლეჯის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით. კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით, კვებისათვის კოლეჯის ბაზაზე არსებული ობიექტით. ზემოაღნიშნულ წესში არსებული ჩანაწერების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, სტუდენტი ვალდებულია, გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დაწესებულებას ჰყავს დამლაგებელი, რომელიც პასუხისმგებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება სადეზინფექციო საშუალებების შესყიდვების დოკუმენტაციით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართი შენობის ორივე სართულზე აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

კოლეჯში გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. კოლეჯი ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს შრომის უსაფრთხოების კომპანიასთან შპს „ეიჩესი ჯგუფი“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 27 ივნისიდან უვადოდ. 2023 წლის 17 იანვარს გაფორმდა ორმხრივი შეთანხმება, რის თანახმადაც, კომპანიამ ოფიციალურად გამოყო შრომის უსაფრთხოების ორი სპეციალისტი, რომლებიც მოემსახურებიან კოლეჯს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია აღნიშნული სპეციალისტების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები - ვადიანი სერტიფიკატები კანონმდებლობით დადგენილი წესით შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის გავლის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის შრომის უსაფრთხოების ერთ-ერთ სპეციალისტს, რომელმაც დეტალურად აღწერა მისი ფუნქცია-მოვალეობები, პერსონალის ინსტრუქტაჟთან დაკავშირებული ღონისძიებები და წარმოადგინა ხანძარსაწინააღმდეგო, საგანგებო სიტუაციების მართვისა და პირველადი უსაფრთხო შრომის პირობების თაობაზე კოლეჯის პერსონალისათვის ჩატარებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინსტრუქტაჟების მტკიცებულებები, რომელიც ხელმოწერილია პერსონალის მიერ. აღნიშნული ასევე დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას. კოლეჯი აღნიშნულ ინსტრუქტაჟს უტარებს ყოველ ახალ პერსონალს, სამსახურში მიღებისთანავე.

შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა"; „შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა"; „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა"; გაწერილია „საგანგებო სიტუაციების შტაბის წევრთა ფუნქციები"; „პერსონალის სწავლების გეგმა, 2023 წ."

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. კოლეჯში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები - „სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფა, შენახვა და გამოყენება". სახარჯი მასალის შეძენა ხორციელდება თითოეულ მოდულში დადგენილი სტანდარტის, რაოდენობისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. სახარჯი მასალის მარაგი ექვემდებარება განახლებას ყოველწლიურად, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სახარჯი მასალის შეძენისათვის დაწესებულებას არ ესაჭიროება რომელიმე სპეციალური ორგანოს ან/და პირის ნებართვა და ასევე თავისუფალია მიმწოდებლის არჩევაში, გარდა სტანდარტით დადგენილი მახასიათებლებისადმი დადგენილი შეზღუდვებისა. სახარჯი მასალა განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, რომელიც ცნობილია პროფესიული მასწავლებლებისათვის. დაწესებულებაში ფუნქციონირებს დანომრილი ჟურნალი გამოყენებული მასალის აღრიცხვის მიზნით. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სპეციალურად განკუთვნილ ჟურნალში კეთდება ჩანაწერი მოდულის დასახელების, გამოყენებული მასალის, დროისა და მასწავლებლის ხელმოწერის შესახებ. ჟურნალში ჩანაწერების შეტანასა და სახარჯი მასალის მოდულის შინაარსის გათვალისწინებით გამოყენებაზე მონიტორინგს ახორციელებს შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფი. სახარჯი მასალის მარაგის ძირეული გადახედვა და განახლება, ხორციელდება ყოველწლიურად, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. ამასთან, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია სახარჯი მასალის გამოყენების აღრიცხვის ჟურნალში გააკეთოს ჩანაწერი რომელიმე სახეობის სახარჯი მასალის მარაგის მოსალოდნელი ამოწურვის შესახებ. ასევე, დააფიქსიროს არსებული სახეობის უკეთესი ხარისხით ჩანაცვლების ან/და სტუდენტთა განვითარების მიზნით საჭირო სხვა დამატებითი მასალების შესახებ. ჟურნალის ჩანაწერების შინაარსი ყოველკვირეულ კონტროლს და შესაბამის რეაგირებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექვემდებარება. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სახარჯი მასალის გამოყენების შესახებ ჩანაწერის ჟურნალში შეტანა სავალდებულოა. შეუსაბამოდ დიდი რაოდენობის სახარჯი მასალის გამოყენების გამოვლენის შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებელს მოსთხოვოს წერილობითი დასაბუთება სახარჯი მასალის რაოდენობის გახარჯვის მიზნობრიობის შესახებ.

კოლეჯის მატერიალური რესურსის გამოყენების წესები ითვალისწინებს მატერიალური რესურსის განკარგვის წესს. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა ხდება შემდეგნაირად: მყარი ნარჩენების გატანა და მოთავსება ხდება ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომლებიც მოთავსებულია შესაბამის დისტანციაზე. ნარჩენების გატანის სიხშირე - ხორციელდება კონტეინერის გავსებისთანავე, ყოველდღიურად. კოლეჯში განთავსებულია ნარჩენებისთვის განკუთვნილი უკონტაქტო, დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილია ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი.

კოლეჯში დარეგულირებულია ნარჩენების მართვის მექანიზმები. ვინაიდან დაწესებულებაში არ ხორციელდება ქიმიური და სხვა სახის განსაკუთრებული მოთხოვნების მქონე ნარჩენები, კოლეჯი არსებული ნარჩენების მართვას ახორციელებს სტანდარტული პროცედურების დაცვით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მასალა-ნედლეულის მოთხოვნისა და მიწოდების მტკიცებულებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დათვალიერდა სასწავლო გარემო, მასალა-ნედლეული და განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც დაადასტურეს სასწავლო პროცესში მასალა-ნედლეულის საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. მატერიალური რესურსის შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსის გამოყენების წესებით, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია რესურსების შეფასების პერიოდი, ჩართული პირები და შეფასების ფორმა. კოლეჯის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის, აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების წესების განსაზღვრას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორი. განსაზღვრული პერიოდულობით ტარდება კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია; საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა კოლეჯში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება. განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართულია სასწავლო დეპარტამენტი, დირექტორი და ფინანსური სამსახური. შეფასებისა და განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის სამსახური ან/და დირექტორი. თუმცა, კოლეჯს ამ პროცედურების შესრულების მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. კოლეჯმა წარმოადგინა მატერიალური რესურსის ნუსხა ექსლის ფაილში.

კოლეჯის მატერიალური რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა პერსონალის კმაყოფილების კვლევას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კითხვარები. თუმცა, კოლეჯს არ წარმოუდგენია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები, ვინაიდან ეს პროცესი საანგარიშო პერიოდში ფორმალიზდა და კოლეჯი მიმდინარე წლიდან უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების სისტემის ფუნქციონირებას.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებიც დადებითად აფასებენ კოლეჯის ინფრასტრუქტურას, მატერიალურ რესურსებსა და ამ რესურსებზე მათ ხელმისაწვდომობას. აღნიშნული დასტურდება ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის წესი, შესაბამისი ფორმები, კომისიის მუშაობისა და შედეგების ანალიზის პროცედურები და გამოიყენოს პრაქტიკაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

8. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა.

კოლეჯს არ ჰყოლია შშმ სტუდენტები, თუმცა მათი არსებობის შემთხვევაში, კოლეჯში ხელმისაწვდომია შესაბამისი პირობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. კოლეჯის ტერიტორიაზე სივრცეები იმგვარადაა განაწილებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, ოთახები არაა ერთმანეთში გამავალი და იძლევა საშუალებას შეიქმნას დამოუკიდებელი სამუშაო სივრცეები.

კოლეჯის ტერიტორიაზე გამოყოფილია რეკრეაციული და შემოქმედებითი სივრცეები სტუდენტებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც მათ აქვთ შეუფერხებლად მუშაობის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. კოლეჯის მოქმედებს შიდა მარეგულირებელი აქტი - „ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები“. დოკუმენტში განსაზღვრულია საბიბლიოთეკო საქმიანობის მიზნები და ამოცანები, ბიბლიოთეკის რესურსი, ბიბლიოთეკის მომხმარებლად რეგისტრაციის წესი, ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, ბიბლიოთეკის რესურსის მოძიება/შეკვეთა და გატანის წესი, ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კოლეჯს ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით.

საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის შესაძლებლობას.

კოლეჯში ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაცია ბიბლიოთეკის მკითხველად, ბიბლიოთეკარი ახორციელებს დღის განმავლობაში მიწოდებული სერვისების აღრიცხვას.

კოლეჯის ბიბლიოთეკაში დაცულია მხოლოდ დარგობრივი ლიტერატურა, მათ შორის სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ლიტერატურის არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი ახორციელებს ლიტერატურის თარგმნას და სასწავლო მასალათა კრებულის შედგენას, თუმცა ეს პროცესი არ არის ფორმალიზებული. კოლეჯს ე.წ. მეთოდოლოგიური დოკუმენტი არ აქვს, რის მიხედვითაც მომზადდება სასწავლო მასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა იმუშავოს საბიბლიოთეკო სერვისების განვითარების მიმართულებით და მკითხველებს შესთავაზოს კურიკულუმს გარეშე ლიტერატურა, ასევე მიზანშეწონილია კოლეჯმა დაადგინოს მინიმალური მოთხოვნები და შეიმუშაოს სასწავლო მასალის ე.წ. „რიდერის“ შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განისაზღვრება მაგალითად სასწავლო მასალების გაფორმების, გამოყენებული ლიტერატურის სავალდებულოდ მითითების და სხვ. საკითხები, ამასთან მნიშვნელოვანია სასწავლო სახელმძღვანელო განიხილოს დარგის სპეციალისტებმა და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება მოცემული მასალით შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის იჯარის ხელშეკრულება და ამონაწერი საჯაროო რეესტრიდან;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მატერიალური რესურსის გამოყენების წესები;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯსა და შპს „ეიჩესი ჯგუფი“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და შეთანხმება;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა“;
7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“;
8. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის„საგანგებო სიტუაციების შტაბის წევრთა ფუნქციები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

9. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „პერსონალის სწავლების გეგმა, 2023 წ.“
10. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტი - „სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფა, შენახვა და გამოყენება“;
11. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მასალა-ნედლეულის აღრიცხვისა და გახარჯვის ჟურნალი;
12. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „ნარჩენების მართვის მექანიზმები“;
13. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „მატერიალური რესურსის გამოყენების წესები“;
14. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მატერიალური რესურსის ინვენტარიზაციის შედეგები;
15. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
16. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები“;
17. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საბიბლიოთეკო საქმიანობის მართვის მტკიცებულებები - საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ჟურნალები, მკითხველთა ფორმულარები, მკითხველთა ბარათები;
18. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მიერ კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
19. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მიერ შესყიდული ინვენტარის, სახარჯი მასალის, ჰიგიენური და სხვა სახის საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაცია;
20. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები;
21. ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯმა წარმოადგინა 2019 წელს გაცემული მიწერილობა №2172 სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის აღმოფხვრაზე, რის მიხედვითაც განსაზღვრული აქტივობების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2020 წელი. კოლეჯმა წარმოადგინა 2022 წლის 24 მაისის კორესპოდენცია, რის საფუძველზეც მოთხოვნილია დაწესებულების საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შემუშავების მიზნით, სათანადო პროცედურების განხორციელება. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან რეაგირება არ ყოფილა. განმეორებითი მოთხოვნა კოლეჯმა განახორციელა 2023 წლის 14 თებერვალს. შედეგად, 2023 წლის 15 თებერვალს, კოლეჯსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქლაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს შორის, გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს კოლეჯის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკური რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისობის წინადადებების მომზადება (დანართი №2).

დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, კოლეჯში იმყოფებოდა ზემოაღნიშნული ორგანოს წარმომადგენლები, რომლებმაც შეისწავლეს კოლეჯში არსებული მდგომარეობა. ინტერვიურებისას, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ დაასრულეს კოლეჯში არსებული მდგომარეობის შესწავლა და დასკვნას ან მიწერილობას წარმოადგენენ არაუგვიანეს 10 დღისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის კოლეჯს არ ჰქონდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე მოლაპარაკებები კოლეჯმა დაიწყო ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.

მიმდინარე წლის 17 მარტს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 7 23 0000306404 წერილის საფუძველზე, წარმოდგენილი კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციისა და მასზე დართული მტკიცებულებების მიხედვით, კოლეჯმა წარმოადგინა - შპს „მშენ-ექსპერტ +"-ის მიერ მომზადებულია ინსპექტირების ანგარიში შენობა-ნაგებობის, მდებარე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №121, III სართული - მდგრადობისა და რეკომენდაციების შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და გაცემულია რეკომენდაციები ავარიული ნიშვნების აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული იქნა დასკვნა ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზად მიჩნევის გარემობების აღმოფხვრის დადასტურება დამოკიდებული იყო სხვა კომპეტენენტური ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტზე (შენობა-ნადებობის მდგრადობა, სახანძრო უსაფრთხოება) პროცესი არ საჭიროებს დამატებით შესწავლას, ადგილზე გადამოწმებას და სხვა ღონისძიებების შესრულებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინამდებარე დასკვნის პროექტში მოცემული ხარვეზები ამოღებულია და შესაბამისი სტანდარტი შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, დაწესებულებას აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების შეფასების ღონისძიებები.

2. კოლეჯში მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს შესაბამის კვალიფიკაციის მქონე ექთანი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის ტერიტორიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კოლეჯში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო საშუალებებით. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტი დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პირველადი დახმარებისათვის საჭირო სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებებით, მოწყობილია ავადმყოფის მიღების საშუალებები. გარდა სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებებისა კაბინეტში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო - სამედიცინო ინვენტარი. კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებებისა და ჰიგიენის ნივთების, სამედიცინო ინვენტარის შეძენა/შეცვლა/დამატებას უზრუნველყოფს დაწესებულება, ექთნის წინადადებების გათვალისწინებით. ექთანი აწარმოებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და გამოყენებული სამედიცინო საშუალებების აღრიცხვის, სათანადო წესით დალუქულ, სარეგისტრაციო ჟურნალს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის-დირექტორის ბრძანებით. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებული ფუნქციები. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება დაცვის ობიექტთან. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. იმ სივრცეში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი წარწერები. დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი კომპანიის წარმომადგენელი ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს კოლეჯში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი. საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია დაათვალიეროს სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები, გააკონტროლოს კოლეჯის შენობაში შემომსვლელი უცხო პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, ამ მიზნით დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს წესრიგის დაცვის მექანიზმებს, შრომის დაცვაში იგულისხმება ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და სამართლებრივი ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად.

კოლეჯი თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს პერსონალისათვის საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნას, ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკურ მოწყობას და იქ შრომის ისეთი პირობების შექმნას, როგორიც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს (უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, სანიტარულ ნორმებს და ა.შ.). ამ მიზნით, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები კომპეტენციის ფარგლებში პერსონალს პერიოდულად უტარებენ ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარული ნორმების, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ და თავად ახორციელებს ყველა მათგანის შესრულებაზე მუდმივ კონტროლს.

შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის 2019 წელს გაცემული მიწერილობა №2172 სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის აღმოფხვრაზე;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 24 მაისის და 2023 წლის 14 თებერვლის კორესპოდენცია;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს შორის, 2023 წლის 15 თებერვალ გაფორმებული ხელშეკრულება;

4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მექანიზმები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მომსახურების ხელშეკრულება დაცვის ობიექტთან;
7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.
8. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატური.

კოლეჯში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი. რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მომსახურების გადახდების ქვითრებითა და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით. კოლეჯს აქვს სერვერი, 33 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი B ტიპის გარემო, ასევე სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული მასწავლებლების მიერ სარგებლობის მიზნით კომპიუტერები განლაგებულია A ტიპის გარემოში, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებით. 7 კომპიუტერი განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის.

კოლეჯში მოქმედებს „ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროცესების მართვის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს IT ინფრასტრუქტურის მართვის, განახლების, რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების მექანიზმებს, პასუხისმგებელ პირებსა და IT ინფრასტრუქტურის შეფასების პერიოდებს.

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. კოლეჯი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს IT სპეციალისტთან, რომელიც ახორციელებს კოლეჯის IT ინფრასტრუქტურის მართვას, ტექნოლოგიური გამართულობის უზრუნველყოფას, პერიფერიული მოწყობილობების შეფასებასა და განახლებას, რისკების მართვასა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილია IT სპეციალისტის მიერ განხორციელებული IT აუდიტის მტკიცებულები.

კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებითა და ექსპერტთა ჯგუფის დათვალიერებით დასტურდება კოლეჯის IT ინფრასტრუქტურის გამართულობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. კოლეჯში მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“. დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები, პერსონალური მონაცემების სახეები, რომელთა დამუშავებასაც ახორციელებს კოლეჯი, მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები და სხვა, რაც შესაბამისობაშია პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების წერილობითი თანხმობები კოლეჯის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე, თუმცა დოკუმენტზე არ იყო მითითებული მათი გაფორმების თარიღი, პირის (პროფესიული სტუდენტის/პერსონალის) სტატუსი და სახელი და გვარი გარკვევით. დოკუმენტზე დასმული იყო ხელმოწერა, რომელიც რიგ შემთხვევაში ვერ იძლეოდა პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. კოლეჯს დოკუმენტების გაფორმების საკითხებზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია, რომელიც წინამდებარე დასკვნაში ფორმულირებულია ზოგადი რეკომენდაციების ველში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას, მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. კოლეჯი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს IT სპეციალისტთან, რომელიც ახორციელებს კოლეჯის IT ინფრასტრუქტურის მართვას, ტექნოლოგიური გამართულობის უზრუნველყოფას, პერიფერიული მოწყობილობების შეფასებასა და განახლებას, რისკების მართვასა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილია IT სპეციალისტის მიერ განხორციელებული IT აუდიტის მტკიცებულები.

კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებითა და ექსპერტთა ჯგუფის დათვალიერებით დასტურდება კოლეჯის IT ინფრასტრუქტურის გამართულობა.

კოლეჯის IT ინფრასტრუქტურით პროფესიულ სტუდენტთა პერსონალის კმაყოფილების კვლევას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კითხვარები. თუმცა, კოლეჯს არ წარმოუდგენია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები, ვინაიდან ეს პროცესი საანგარიშო პერიოდში ფორმალიზდა და კოლეჯი მიმდინარე წლიდან უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების სისტემის ფუნქციონირებას.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტევრიურება კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებიც დადებითად აფასებენ კოლეჯის IT ინფრასტრუქტურას და ამ რესურსებზე მათ ხელმისაწვდომობას. აღნიშნული დასტურდება ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

5. დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. კოლეჯში IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურითა და მომსახურებით სარგებლობის მექანიზმები გაწერილია „მატერიალური რესურსის გამოყენების წესებში“, რის მიხედვითაც კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით. კოლეჯი საანგარიშო პერიოდში იყენებს მეილ ჯგუფებს, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელს. დაწესებულებას შესყიდული აქვს ელექტრონული სისტემა, რომელშიც ჩაერთვება კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები. სისტემა მუშაობს სატესტო რეჟიმში.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი დაწესებულებს წარმომადგენელს, რომელთანაც 2023 წლის 16 თებერვალს გაფორმდა შეთანხმება სამუშაოების დასრულების შესახებ. შეთანხმების მიხედვით შპს „ჰოსტი.ჯი“ იღებს ვალდებულებას 10 დღის ვადაში დაასრულოს სამუშაოები. კომპანიის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფს დეტალურად გააცნო სისტემის პანელი, სერვისები და ფუნქციონირების თავისებურებები. პროფესიულ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის მიმართულებით პლატფორმაში იტვირთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამა/მოდულები, შეფასების შედეგები, მეცადინეობის განრიგი, ბიბლიოთეკა; ადმინისტრაციული მიმართულებით - პროფესიულ სტუდენტებს შეეძლებათ ელექტრონული მიმოწერა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, განცხადების შედგენა და გაგზავნა, გაგზავნილი განცხადების სტატუსისათვის თვალის მიდევნება, მოთხოვნილი დოკუმენტის (მაგალითად ცნობა) მიღება, ჩამოტვირთვა და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის IT სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროცესების მართვის მექანიზმები“;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის IT აუდიტის მტკიცებულებები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული შეთანხმებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ;
7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

8. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „მატერიალური რესურსის გამოყენების წესები“;
9. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა;
10. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯისა და შპს „ჰოსტი.ჯი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება და შეთანხმება;
11. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერებით;
12. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურება.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს „საქმისწარმოების წესი“. დოკუმენტში განსაზღვრულია დოკუმენტების მიღების, გაგზავნის, შემუშავების, დოკუმენტების შესრულების, მმართველობითი დოკუმენტების შემუშავების, დოკუმენტბრუნვის ორგანიზებისა და მართვის სხვა საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან, თუმცა არეგულირებს საქმისწარმოების მატერიალური ფორმით განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კოლეჯში არ არის შემუშავებული საარქივე დოკუმენტების მომზადების, დამუშავებისა და არქივის წარმოებასთან დაკავშირებული მექანიზმები. არ არის განსაზღვრული დოკუმენტების შენახვის ვადები და დამუშავების წესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, თუმცა 1) რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშაოს ელექტრონული საქმისწარმოების მართვასთან დაკავშირებული მექანიზმები; 2) რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშაოს საარქივე საქმისწარმოების მექანიზმები კანონმდებლობით მოთხოვნათა შესაბამისად და უზრუნველყოს დოკუმენტების დამუშავება, დაარქივება და შენახვა.

2. კოლეჯში ექსპერტთა ვიზის დროს არ იყო დანერგილი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. კოლეჯი თანამშრომლობს შპს „ჰოსტი.ჯი“-სთან საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი დაწესებულებს წარმომადგენელს, რომელთანაც 2023 წლის 16 თებერვალს გაფორმდა შეათანხმა სამუშაოების დასრულების შესახებ. შეთანხმების მიხედვით შპს „ჰოსტი.ჯი“ იღებს ვალდებულებას 10 დღის ვადაში დაასრულოს სამუშაოები. კომპანიის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფს დეტალურად გააცნო სისტემის პანელი, სერვისები და ფუნქციონირების თავისებურებები. შემოსული კორესპონდენციის დამუშავება, რეგისტრაცია, მოძრაობა, შესრულების კონტროლი, გასაგზავნი კორესპონდენციის შექმნა, დამუშავება და სხვა. პლატფორმა იძლევა შესაძლებლობას აღირიცხოს ბრძანებები, ხელშეკრულებები და სხვ.

მიმდინარე წლის 17 მარტს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 7 23 0000306404 წერილის საფუძველზე, წარმოდგენილი კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციისა და მასზე დართული მტკიცებულებების მიხედვით, კოლეჯსა და შპს „ჰოსტი.ჯი“ შორის სამუშაოების დასრულების შესახებ 2023 წლის 16 თებერვალს გაფორმებული შეთანხმების მიხედვით აღებული ვალდებულება შესრულებულია. კოლეჯის მიერ გამოგზავნილია სისტემაში რეგისტრირებული კორესპოდენცია, ხოლო სისტემის ფუნქციებისა და პანელების მართვის პრინციპებს ექსპერტთა ჯგუფი კოლეჯში ვიზიტის დროს გაეცნო. ამასთან, კოლეჯის მიერ გამოგზავნილია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში დაშვების დროებითი იუზერი და პაროლი, რის საშუალებით ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ჯგუფმა დაათვალიერა სისტემის მუშაობა, რეგისტრირებული კორესპოდენცია, მართვის პანელი და დასტურდება, რომ სისტემა იძლევა შემოსული კორესპონდენციის დამუშავების, რეგისტრაციის, მოძრაობის, შესრულების კონტროლის, გასაგზავნი კორესპონდენციის შექმნის, დამუშავების ბრძანებების/ხელშეკრულებების/სხვ. აღრიცხვის შესაძლებლობას. აღნიშნულის დასტურად იხილეთ დასკვნის დანართი N3.

გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზად მიჩნევის გარემობების აღმოფხვრის დადასტურება დამოკიდებული იყო ტექნიკური სამუშაოების დასრულებაზე, პროცესები არ საჭიროებს დამატებით შესწავლას, ადგილზე გადამოწმებას და სხვა ღონისძიებების შესრულებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინამდებარე დასკვნის პროექტში მოცემული ხარვეზები ამოღებულია და შესაბამისი სტანდარტი შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.

3. კოლეჯში განსაზღვრულია რეესტრზე პასუხისმგებელი პირი. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვის ვადებს, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად და სრულად შეისწავლა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. კოლეჯის „საქმისწარმოების წესით“ განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პროცედურა. დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების კონკრეტული ვადები არ არის განსაზღვრული, თუმცა მიღებული და გაგზავნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტების შესწავლით ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ დოკუმენტების შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს. ექსპერტთა ჯგუფმა განუმარტა დაწესებულებას ცალსახა პროცედურების არსებობის თაობაზე და გაიცა რეკომენდაციები, რომელიც ფორმულირებულია წინამდებარე დასკვნის ზოგადი რეკომენდაციების ნაწილში.

კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებით ჰყავს საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების შესრულების კონტროლსა და დროულ რეაგირებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საქმისწარმოების წესი;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის შპს „ჰოსტი.ჯი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება და შეთანხმება;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის შემოსული და გასურლი კორესპოდენტიცია, კორესპოდენციის რეგისტრაციის ჟურნალები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ბრძანებების, ხელშეკრულებების, დიპლომების აღრიცხვის ჟურნალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია http://college.dtmun.ge/, ხოლო სოციალური ქსელი - https://www.facebook.com/collegedtmu, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; კოლეჯის ვებგვერდისა და სოციალური ქსელის გვერდებზე საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულების მიზნით განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და აქვს საჭიროებისამებრ შეტყობინების გაგზავნის ფუნქცია, საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით, ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია: დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ, დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, მთავარი სიახლეები, პროგრამის ანოტაცია, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინფორმაცია სასწავლო შესაძლებლობების შესახებ, ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. ბოლო სიახლე განთავსებულია 2022 წლის 26 დეკემბერს, ნომინაციაში ,,წლის ექთანი'' დავით ტვილდიანის სახელობის საექთნო კოლეჯის კურსდამთავრებულის წარდგენის შესახებ. ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. ვებგვერდზე არსებობს სიტყვით ძებნის ფუნქცია.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი. კოლეჯის ვებგვერდის განვითარების მიზნით, დაწესებულება მუშაობს ახალი ვებგვერდის შექმნაზე, რის დასტურადაც წარმოდგენილია შესაბამის ორგანიზაციასთან - შპს „სქილერსი" გაფორმებული ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ ქართულენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა დაწესებულების ვებგვერდზე ძირითადი ინფორმაცია ასევე განთავსებულია ინგლისურ ენაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კოლეჯში მოქმედებს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, ის განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე და ასევე ხელმისაწვდომია ონალაინ სისტემაში.

კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების მისის, ხედვის, ღირებულებების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, მოცულობის, ხანგრძლივობისა და შეფასების წესის შესახებ, ასევე მოცემულია ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ.

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2019-2022 წ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2019-2022 წ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ამის უზრუნველსაყოფად კოლეჯი მიღებულ ინფორმაციას და უკუკავშირს ამუშავებს შესაბამის სამსახურების ჩართულობით, მიღებული ანალიზი გამოყენებულია კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აღნიშნული პროცედურა გაწერილია კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაციის წესში.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა არხების გამოყენების ანგარიში, დაწესებულება საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა არხებს, მათ შორის: ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი, ელ.ფოსტა და სატელეფონო კომუნიკაცია. საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებთან ხდება პირადი გასაუბრებაც. საზოგადოების ძირითადი ინტერესი უკავშირდება კოლეჯში რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესებს, პროგრამის ხანგრძლივობას, დაფინანსებას, დასაქმების პერსპექტივას, პარტნიორების შესახებ მცირე გამოკითხვას. დაწესებულება ყველა საკომუნიკაციო არხიდან მიღებულ შეკითხვასა თუ მოსაზრებას თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს და იაზრებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდების ძალას. დაწესებულება უკუკავშირის მისაღებად დაინტერესებულ პირებს პირადად ან წერილობით უსვამს შეკითხვას - რამდენად საკმარისი და გასაგები იყო მიწოდებული ინფორმაცია. უკუკავშირი დაწესებულებას ეხმარება გააანალიზოს და განსაზღვროს მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსი და მოცულობა, უფრო ეფექტური კომუნიკაციისათვის. - საიდან გაიგეს კოლეჯის შესახებ - რითაც დაწესებულება არკვევს რომელი საკომუნიკაციო არხი არის ეფექტური და მოიცავს ფართო საზოგადოებას. თავისმხრივ ამგვარი ანალიზი ეხმარება უფრო ეფექტურად დაიგეგმოს შემდგომი აქტივობები ცნობადობის გასაზრდელად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა არხების გამოყენების ანგარიში;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯსა და შპს „სქილერსი"-თან გაფორმებული ხელშეკრულება კოლეჯის ახალი ვებგვერდის შექმნის შესახებ;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დომენის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის http://college.dtmu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/ collegedtmu;
7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულება ფინანსდება პროფესიული სტუდენტების სწავლის გადასახადი/ვაუჩერით და დამფუძნებლების შემოწირულობით. დაწესებულების ფინანსური მენეჯერის განმარტებით და წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით პროფესიული სტუდენტების სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება ვერ უზრუნველყოფს კოლეჯის ხარჯების სრულად დაფარვას, შესაბამისად საჭირო თანხების (ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსის) უზრუნველყოფას ახდენს დამფუძნებელი.

კოლეჯმა წარმოადგინა შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზის დოკუმენტი, ასევე დაწესებულების 2023 წლის ფინანსური გეგმა. მოცემული დოკუმენტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი იძლევა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დოკუმენტები 2020 და 2021 წლებში განხორციელებული საოპერაციო ხარჯების განხორციელების შესახებ, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილია მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსება.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. კოლეჯი წარმოადგენს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის შვილობილ კომპანიას, შესაბამისად დაწესებულების ფინანსური აუდიტი ჩატარებულია უნივერსიტეტის აუდიტთან ერთად და მოხვედრილია ერთიან კონსოლიდირებულ ანგარიშში. დაწესებულება ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ანთავსებს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს, რომლის შედეგების საფუძველზე იგეგმება მომდევნო წლის საპროგნოზო ბიუჯეტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საოპერაციო ხარჯების განხორციელების მტკიცებულებები, პირველადი სააღრიცხვო დოკუმეტები;
3. ფინანსურ პორტალზე განთავსებული ანგარიშები;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 2015 წლის 16 ნოემბრის N04 ბრძანება; დირექტორის 2016 წლის 26 აპრილის N12 ბრძანება; დირექტორის 2017 წლის 27 მარტის N03 ბრძანება; დირექტორის 2017 წლის 16 სექტემბრის N07 ბრძანება; დირექტორის 2017 წლის 22 ნოემბრის N12 ბრძანება; დირექტორის 2019 წლის 09 იანვრის N03 ბრძანება; დირექტორის 2019 წლის 07 თებერვლის N07 ბრძანება; დირექტორის 2019 წლის 12 თებერვლის N08 ბრძანება; დირექტორის 2019 წლის 27 თებერვლის N10 ბრძანება; დირექტორის 2019 წლის 04 მარტის N11 ბრძანება; დირექტორის 2019 წლის 22 აპრილის N20 ბრძანება; დირექტორის 2020 წლის 20 თებერვალი N01 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N23 ბრძანება; დირექტორის 2022 წლის 04 ივლისის N25 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №121
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	150
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	---	სრული შესაბამისობა
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	---	სრული შესაბამისობა
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	---	სრული შესაბამისობა
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	---	სრული შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი არის პროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაში გაცხადებულია ექთნების მომზადება. კოლეჯის გადაწყვეტილება საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კოლეჯი მონაწილეობდა „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებასა და პილოტირებაში. ვინაიდან აღნიშნულის შემუშავებამდე კოლეჯს გააჩნდა „პრაქტიკოსი ექთნის“ განხორციელების გამოცდილება, არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით გადაწყვიტა განეხორციელებინა მოდიფიცირებული პროგრამა „საექთნო განათლება“. დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მისიაა, მოამზადოს ექთნები, რომლებიც შეძლებენ გააუმჯობესონ ადამიანების სიცოცხლის ხარისხი, მიუხედავად მათი სქესისა, ეთნიკური კუთვნილებისა და რელიგიური მრწამსისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - საექთნო განათლება დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით საექთნო განათლება / Nursing, სარეგისტრაციო ნომერი 09109-ჰ განსაზღვრულ მოთხოვნასთან. შესაბამისად, განსაზღვრულია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები). ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ვინაიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ იყო დიდი, ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეამოწმა დაწესებულების მიერ შეყვანილი ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთათვის 2022 წლის შემოდგომაზე სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯში მოქმედებს „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორებსა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშების მიდგომებს. მათ შორის ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დროს გასათვალისწინებელ გარემოებებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 150-ს. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები 1/7 თანაფარდობით. რაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით **„საექთნო განათლება“** განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი გამოსაყენებელი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი; თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი; თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი; თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი; პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი; კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება “ **არ მოიცავს არჩევით მოდულებს.**
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. კოლეჯში სტრუქტურული და საშტატო ერთეულების ფუნქციები გაწერილია „ზოგადსაგანმანათლებლო დოკუმენტების კრებულით“. რის მიხედვითაც, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა დაცვლილებების განხორციელებაზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის ბრძანებით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„საექთნო განათლება“** თანხვედრაშია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემუშავების საფუძველია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი - სარეგისტრაციო ნომერი - 09109-პ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

დირექტორის 2022 წლის 04 ივლისის № 25 ბრძანებით დაწესებულებამ უზრუნველყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართებში (მოდულებში) დაშვების წინაპირობების ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე კლინიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სწავლების კომპონენტსაც. სწავლის პროცესის ხანგრძლივობაა – 149 სასწავლო კვირა (იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია), ხოლო 169 სასწავლო კვირა (იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
8. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „ზოგადსაგანმანათლებლო დოკუმენტების კრებული“;
9. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 04 ივლისის № 25 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში - საექთნო განათლება ცვლილებების განხორციელების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულება წერეთლის გამზირზე N121 მდებარე სასწავლო ფართში ახორციელებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, რისთვისაც აქვს 1 B ტიპის აუდიტორია (33 პროფესიულ სტუდენტზე), 12 A ტიპის აუდიტორია. შინმოვლის და ავადმყოფის მოვლის მოდულების განხორციელებისთვის აქვს C ტიპის გარემო, C გარემოში არის 1 მოზრდილი მულტიფუნქციური რიტმული სიმულატორით და 1 ჩვილის მანეკენი, 1 BLS ტორსი, 1 ინტრავენური კათეტერიზაციის მულაჯი (ხელი), გორგოლაჭებიანი სავარძელი, ყავარჯნები, თეთრეულის ნაკრები, მულტიფუნქციური საწოლი, პაციენტის ტუმბო რომელიც არსებული ინვენტარი სავსებით საკმარისია შინმოვლის და ავადმოვლის მოდულის განხორციელებისთვის.

პროგრამაზე ჯამური ქვოტა შეადგენს 150-ს. წელიწადში კოლეჯი გეგმავს 50 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო სასწავლო პროცესის წარმართავს 2 ჯგუფად, ჯგუფში არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პროფესიული პედაგოგები 1/7 თანაფარდობით. „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: 1) სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (შპს ,,ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი, ,,ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა“, ,,კავკასიის მედიცინის ცენტრი“, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, ივანე ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 15.05.2019), კლინიკები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება კოლეჯის 2019 და 2020 წელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩარიცხულ პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7(შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები. 2) შპს „ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 01.01.2022). ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტის ,,კავკასიის მედიცინის ცენტრის” წარმომადგენლებთან/ განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება (გასაუბრება შედგა დისტანციურ ფორმატში), მათი მხრიდან გამოითქვა სრული მზაობა ითანამშრომლონ კოლეჯთან ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია - 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის ზოგადი მოდულები - 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი (1 - საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში, 1- უცხო ენა - საექთნო საქმეში, 1 - კომუნიკაცია საექთნო საქმეში), თეორიული და პრაქტიკული (მოდულები: ავადმყოფის მოვლა, შინმოვლა) სწავლებისათვის - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. კლინიკური და პრაქტიკული სწავლებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა შეადგენს- 11-ს. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

3. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი კოლეჯის დოკუმენტით „თანამდებობრივი ინსტრუქცია/საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებია - ქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება ან შესაბამისი სფეროს უმაღლესი/პროფესიული განათლება და შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილება ჩაითვლება პრიორიტეტად ხოლო კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნებია საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება - საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლების“ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შედგა გასაუბრება „ანატომია - ფიზიოლოგიის“ და ,,ბიოქიმიის“ მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ მაღალი პროფესიული კომპეტენცია, კოლეჯს დაგეგმილი აქვს პერსონალის ტრენინგი, მათ შორის განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც კვალიფიკაციით არის ექთანი დარგში მუშაობის გამოცდილებით (2019 წლის იანვრიდან 2021 წლის ოქტომბრამდე) და კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლებას“, დაწესებულებას 2022 წლის 28 ივნისის თვეში შეტანილი აქვს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის შრომით ხელშეკრულებაში ცვლილებები კერძოდ გამიჯნულია სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრება პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება. ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის დროს ასევე მოხდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოდულის „ინფექციის კონტროლის საფუძვლებში“ მითითებული სასწავლო რესურსის - Good practice in infection prevention and contro გადამოწმება. გადამოწმების შედეგად აღნიშნული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების სასწავლო გარემო იძლევა შესაძლებლობას სსს მქონე პირებმა ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსს მქონე პირებისთვის.

აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს შშმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, გეგმის შემუშავებაში ჩართულ პირებს, მათ შორის პროფესიულ სტუდენტებს, განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ანგარიშგების საკითხები, რომელსაც ევალება ინდივიდუალური გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტების სწავლების ანგარიშის წარმოდგენა ყოველი მოდულის დასრულებისას, განსაზღვრულია ანგარიშის განხილვისა და შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენების მიდგომები. კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰყოლია ინდივიდუალური გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები, რაც გადამოწმდა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიზნობრივი კითხვების დასმის გზით.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი. კოლეჯის ფინანსისტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების გადინების გამო, წინა წლების მაჩვენებლებით პროფესიული სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადი/ვაუჩერი ვერ ფარავს პროგრამის განხორციელების ხარჯებს, აღნიშნული სხვაობა იფარება კოლეჯის დამფუძნებლების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის იჯარის ხელშეკრულება და ამონაწერი საჯაროო რეესტრიდან;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება განხორციელებაში ჩართული პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება სასწავლო რესურსი
6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ინიცირების, პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და პროგრამის გაუქმების პროცედურებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით. კოლეჯში პროგრამის გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო დაწესებულება და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ მოდიფიცირდა პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულებაში სწავლა/სწავლებისა და მისი საქმიანობის მუდმივი მონიტორინგის, კმაყოფილების კვლევისა და შეფასების ანალიზით უზრუნველყოფს არსებული პროცესების ხარისხის გაუმჯობესებასა და ამაღლებას. ზრუნავს სწავლისა და სწავლების დონის ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდების მოძიებაზე, ადაპტირებასა და იმპლემენტაციაზე, განათლების ხარისხთან, მისი გაუმჯობესების მექანიზმებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება-გაანალიზებასა და შედეგების გამოყენებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახორციელებს ხარისხის შიდა შეფასებას, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანონიმურ ან/და ღია გამოკითხვებს, ლექციებზე დასწრებას - პრაქტიკული მეცადინეობების მიმდინარეობის მონიტორინგს და დადასტურების (შეფასების) პროცესს. კოლეჯმა გააუმჯობესა პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის კითხვარები, თუმცა მათი შესრულების მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება განვითარებისა და ჩარჩო დოკუმენტთა შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში შესულია არაერთი ცვლილება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ დაწესებულება ზრუნავს პოგრამის განვითარებაზე, თუმცა პროცედურულად არ ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ყველა ეტაპის დოკუმენტირებას. რის თაობაზეც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისი რეკომენდაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, თუმცა რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დაგეგმვა, ადმინისტრირება განხორციელდეს პერიოდულად, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „ზოგადმარეგულირებელი დოკუმენტების კრებული“;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში - საექთნო განათლება ცვლილებების განხორციელების შესახებ კოლეჯის დირექტორი ბრძანებები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“ განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო დეპარტამენტის მიერ, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის თანამშრომლები ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (დემო ვერსია).

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან ვიზიტის პირველ (2022 წლის ჩარიცხვის ჯგუფი), მეორე (2019-2021 წლის ჩარიცხვის ჯგუფი) და მესამე დღეს (2022 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩარიცხვის ჯგუფი). პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის სასწავლო დეპარტამენტი სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ შესაბამის სამსახურს მიმართონ ელექტრონულად და პირადად და მიიღონ უკუკავშირი დაუყოვნებლივ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს, მოდულებში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები ინტერაქციული ლექცია, სემინარი, პრეზენტაციები, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვინაიდან ავადმყოფის მოვლის და შინმოვლის მოდული ხორციელდება ადგილზე არსებულ C გარემოში, მოთხოვნილ იქნა მატერიალური რესურსების ბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულება უზრუნველყოფს სახარჯი მასალების დროულ და სრულყოფილ აღრიცხვას. „გამოყენებული მასალის აღრიცხვის ჟურნალში“ სრულად არის შეტანილი ხარჯი და ხელმოწერით დადასტურებულია მოდულების - ავადმყოფის მოვლისა და შინმოვლის განმახორციელებლების მიერ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: ა)კოლეჯში სწავლობს სსსმ/შშმ სტუდენტი/მსმენელი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას; ბ) სტატუს შეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს აღუდგა სტატუსი; გ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმება ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღება ან პროგრამის შეცვლა/გაუქმება, როდესაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა; დ)მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი მიმართავს სასწავლო დეპარტამენტს, რის შემდგომაც დეპარტამენტის წარმომადგენელი და პროგრამის ხელმძღვანელი ესწრებიან სასწავლო პროცესს დაკვირვების მიზნით. თუ ფაქტი დადასტურდა, სასწავლო დეპარტამენტი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან და შესაბამისი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის ასისტენტთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სსსმ/შშმ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგების შესაბამისად, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნების შესაბამისად. კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება პროფესიულ სტუდენტთან, რაც დასტურდება ხელმოწერით; იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხდება შეთანხმება პროფესიულ სტუდენტთან, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავიდან შემუშავება/გადამუშავება. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენლის წარდგინებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს უწევს და აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა წარმოადგინა 2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებული იყო მობილობით გადმოსული და შეჩერებული სტატუსის აღდგენით გამოწვეული საჭიროებისას. ორივე გეგმა შეთანხმებული იყო პროფესიულ სტუდენტებთან. აღნიშნული დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. დაწესებულებას „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: 1. სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (შპს ,,ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი, ,,ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა“, ,,კავკასიის მედიცინის ცენტრი“, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, ივანე ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი ხელშეკრულების გაფორმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თარიღია - 2019 წლის 15 სექტემბერი და მოქმედებს სამი წლის ვადით, მხარეები თანხმდებიან, რომ ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ორი კვირით ადრე თუ ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება 3 წლის განმავლობაში). ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები. 2. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 01.01.2022- მოქმედებს ექვსი წლის ვადით). აღნიშნულ კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები.

ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ კლინიკა მიიღებს პროფესიულ სტუდენტებს იმ თანაფარდობით, რაც მითითებულია საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტში და განსაზღვრულია შემდეგნაირად ერთი მედდა ტრენერი/ ერთი არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი. აღნიშნული კოლეჯის მიერ აიხსნა ტექნიკური შეცდომით და წარმოდგენილ იქნა მიმოწერა კლინიკის წარმომადგენელთან ხელშეკრულებაში ცვლილების პროცესის დაწყების შესახებ. ვინაიდან მოცემული ჩანაწერი არ აუარესებს პარტნიორი კლინიკის მდგომარეობას, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ნაკლები საფრთხის შემცველია კლინიკის თანხმობა ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებითა და კლინიკის წარმომადგენლებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებით. დაწესებულებას აგრეთვე ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებთან - პროფესიულ პედაგოგებთან.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ პრაქტიკული სწავლების მოდულები (ავადმყოფის მოვლა, შინმოვლა) ხორციელდება კოლეჯის სიმულაციურ გარემოში. მოდულების განხორციელების პერიოდში არ გროვდება საშიში კატეგორიის ნარჩენები, ამიტომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „საექთნო განათლება“ არ სჭირდება დამატებითი უსაფრთხოების მოთხოვნები. აქედან გამომდინარე სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებებით;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებთან - პროფესიულ პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მათი შემუშავების მტკიცებულებები;
5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯში „გამოყენებული მასალის აღრიცხვის ჟურნალი;“
7. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „მოდულის განხორციელების საჭირო მასალის შეძენის, გახარჯვისა და აღრიცხვის წესი;“
8. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯში მასალა-ნედლეულის შეყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
9. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებულია შეფასების სისტემის შემდეგი სქემა: სწავლის შედეგის დადასტურდა ან სწავლის შედეგის არ დადასტურდა. კოლეჯში მოქმედებს „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, შეფასების პროცესის ადმინისტრირება/მართვა, შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებისა და აპელაციის წესები, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვება, აღრიცხვა და შენახვის წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიდგომები, კოლეჯში პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ეყრდნობა კონკრეტულ მოდულს. შეფასების პროცესამდე არანაკლებ 7 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის სამსახურის მენეჯერს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი დარგის სპეციალისტთან ერთად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას/ვალიდაციას. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით. შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის.

აღნიშნული ინფორმაცია დადასტურებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას. კოლეჯში შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაცულია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმები, აღნიშნული პროცედურები გაწერილია კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესში. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი, როგორიცაა დარგის ექსპერტები. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია მტკიცებულებების შესწავლისა და დასკვნის მომზადების, ასევე დასკვნის წარდგენის შემდგომი ღონისძიებები, თუმცა არ არის განსაზღვრული ვერიფიკაციის სამივე კომპონენტის (შეფასების პროცესი, შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების) ვერიფიკაციის პროცედურები, სამუშაო ფორმები, რისკების მართვის სქემა და სხვ. დაწესებულება ახორციელებს შეფასების მტკიცებულებების შემოწმებას, მათ შესაბამისობას შეფასების უწყისებთან, შეფასები მტკიცებულებები თავმოყრილია პროფესიული სტუდენტის პორფოლიოში და წარმოდგენილია საქმეებად/ტომებად. წარმოდგენილია სასწავლო დეპარტამენტის ანგარიში შეფასების პროცესის მიმდინარეობასთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებით, თუმცა რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასების სისტემის ვერიფიკაცია სამივე კომპონენტის (შეფასების პროცესი, შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების) ფარგლებში განხორციელდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სამივე კომპონენტის (შეფასების პროცესი, შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების) შეფასების პროცედურები, შეიმუშაოს სამუშაო ფორმები, რისკების მართვის სქემა და სხვ. და ამ მიდგომებით განახორციელოს შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

3. დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის უზრუნველყოფა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, სასწავლო დეპარტამენტში. ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კი გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული მოდულების პორტფოლიოები, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები, კალენდარული გეგმები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. კოლეჯში მოქმედებს „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობისა და შედეგებზე რეაგირების მიდგომები, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი განზოგადებული სახით იხილავს შეფასების შედეგებს პროფესიულ სტუდენტებთან და აძლევს მათ შესაბამის მითითებებს, რაც გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“;
2. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ შეფასების ინსტრუმენტები;
3. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ ფარგლებში შექმნილი შეფასების უწყისები;
4. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
5. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი №2. - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს შორის, 2023 წლის 15 თებერვალ გაფორმებული ხელშეკრულება;
დანართი N3 - საქმისწარმოების სისტემის მუშაობის ფოტო მასალა.

20.03.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---